პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 21 მაისი, 1946 წ. № 101 (7574). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

ჩვენი ქვეყანა კვების მუშაკებისაგან მოელის პროდუქტების წარმოების ყოველმხრივ გადიდებას და მათი ხარისხის გაუმჯობესებას! „პრავდის“ 19 მაისის მოწინავე (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (მე-2 გვერდი).

პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი (მე-3 გვერდი).

გ. ყაჯრიშვილი — რატომ ირღვევა კომბაინების რემონტის გრაფიკი? (მე-3 გვერდი).

სერგი მაკალათია — საქართველოს მხარეთმცოდნეობის საზოგადოება (მე-3 გვერდი).

ლ. კურსუა — აფხაზეთის კურორტები 1946 წელს (მე-3 გვერდი).

მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ამბები: დეპეშები (მე-2 და მე-4 გვერდი).

ჩვენი ქვეყანა კვების მუშაკებისაგან მოელის პროდუქტების წარმოების ყოველმხრივ გადიდებას და მათი ხარისხის გაუმჯობესებას!

შევქმნათ ჩვენს ქვეყანაში მოხმარების ძირითადი საგნების სიუხვე—ასეთია ერთ-ერთი ამოცანა იმ უმნიშვნელოვანეს ამოცანათა შორის, რომლებიც დასახულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის კანონით. ამ ამოცანის შესრულებისათვის ბრძოლაში საპატიო ადგილი ეთმობა კვების მრეწველობის მუშაკთა მრავალათასიან არმიას. 1950 წელს გადაჭარბებულ უნდა იქნას ხორცპროდუქტების, ერბო-კარაქისა და მცენარეული ზეთის, შაქრის, საკონდიტრო ნაკეთობათა და კვების სხვა პროდუქტების წარმოების ომამდელი დონე. უკვე მომავალ წელს ომამდელი ოდენობით აღდგენილ უნდა იქნას თევზის ჭერა და მისი გადამუშავება.

კვების მუშაკები უნდა მოემზადონ იმისათვის, რომ მიმდინარე წლის შემოდგომიდან გაუქმდება პურის, ფქვილის, ბურღულისა და მაკარონის ნაკეთობათა ბარათები, ხოლო მომავალ წელს სრულიად გაუქმდება საბარათო სისტემა.

სსრ კავშირის კვების ინდუსტრიას ომის წლებში მძიმე ზარალი მოუვიდა. გერმანელმა ოკუპანტებმა მწყობრიდან გამოიყვანეს ათასობით ქარხანა. სერიოზულად დაზარალდა სოფლის მეურნეობა—მრეწველობის ნედლეულის ბაზა. მაგრამ, მიუხედავად სიძნელეებისა, საბჭოთა კვების მუშაკები ენერგიულად აღადგენენ და აფართოებენ წარმოებას. სსრ კავშირის მხოლოდ კვების მრეწველობის სამინისტროს ხაზით აღდგენილია 3.200-ზე მეტი საწარმო.

მაგრამ მთავარი მუშაობა მომავალში მოგველის. კვების მუშაკებმა იციან, რომ მათი საწყისი საამქრო მინდორია, სადაც ნედლეული იზრდება. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები კვების საწარმოებს ამარაგებენ ასობით მილიონი ფუთი მარცვლეულით, ჭარხლით, ბოსტნეულით. ამავე დროს თვით კვების მუშაკები ქმნიან ნედლეულის ბაზას თავიანთ საწარმოთა გარშემო. კვების მრეწველობის გამგებლობაშია 700-ზე მეტი საბჭოთა მეურნეობა. ეს საბჭოთა მეურნეობანი ნამდვილ წამყვან მეურნეობებად უნდა გადავაქციოთ, რათა მათი მაგალითით ვისწავლოთ უხვი მოსავლის მიღება.

ჩვენი სახალხო მეურნეობის აღდგენა უნდა მიმდინარეობდეს წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა გაბედულად და მტკიცედ დანერგვის ბაზაზე. ყოველივე ახალი, მოწინავე, რაც ნედლეულის დაზოგვას, დანაკარგთა შემცირებას იწვევს, დაუყოვნებლივ უნდა გამოვიყენოთ. წარმოების განუწყვეტელი პროცესები, განუწყვეტელი ექსტრაქციის საშუალებით მცენარეული ზეთის დამზადება, საპნის ქარხნებში საკვები ცხიმების სრულფასოვან შემცვლელთა გამოყენება—ყოველივე ეს გაადიდებს პროდუქციის გამოშვებას და იმავე დროს საკვები ცხიმების დამატებით რაოდენობას მოგვცემს მოსახლეობისათვის. სტახანოველების, ოსტატების, ინჟინრების, კონსტრუქტორების შემოქმედებითი აზრი გვიჩვენებს ახალ წყაროებს, რომელთა გამოყენებითაც შეიძლება შემცირდეს დანაკარგები. ნოვატორებს უაღრესად ფართო გზა უნდა მიეცეთ.

უკანასკნელ თვეებში შესდგა მეკონსერვეების, კონდიტრების, მეღვინეების, შაქრის მრეწველობის მუშაკთა თათბირები, რომლებმაც განიხილეს მომავალ სამუშაოთა გეგმები. ამ თათბირებში მონაწილეობას იღებდნენ მეცნიერების წარმომადგენლებიც, რომლებმაც სამეურნეო მუშაკებთან ერთად დასახეს პრაქტიკული ღონისძიებანი წარმოების გასაუმჯობესებლად. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კარგი გადაწყვეტილებანი მალე განხორციელდება. კერძოდ, მეტად მნიშვნელოვანია გადაწყვეტილებანი შაქრის მრეწველობის მუშაკთა ტექნიკური კონფერენციისა, რომელმაც გადასინჯა მანქანების არსებული ტიპები და გამოსაყენებლად დასახა უაღრესად მოდერნიზებული მოწყობილობა. შაქრის მრეწველობის მუშაკებმა კიდევ ბევრი რამ უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ ჭარხლის მთელი მასა მინდვრებიდან მთლიანად მიიღოდეს ქარხნებში და მოკლე ვადაში გადამუშავდეს.

ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია წლითიწლობით მზარდი ტექნიკური კულტურების ნათესებისა და მოსავლიანობის გადიდება. მაშასადამე, წლითიწლობით გადიდდება დავალებანიც კვების მუშაკებისათვის. ახალ ამოცანებს რომ თავი გავართვათ, საჭიროა მექანიზებულ იქნას შრომატევადი პროცესები და ჩასატვირთავ - გადმოსატვირთავი სამუშაოები, ესენი კი კვების მრეწველობაში ბევრია.

„ფიქრი იმაზე, რომ ჩვენი მუშაობის ტემპებისა და წარმოების მასშტაბების დროს შეიძლება იოლად წავიდეთ უმექანიზაციოდ, ნიშნავს იმედი ვიქონიოთ, რომ შეიძლება კოვზით ზღვის ამოლევა“,—ამბობდა ამხანაგი სტალინი. მექანიზაცია გაათავისუფლებს მუშახელის მნიშვნელოვან რაოდენობას და გაადიდებს შრომის ნაყოფიერებას საწარმოებში. ამას მოითხოვს სწორედ კვების მრეწველობის სპეციფიკა, სადაც მექანიზაცია და ავტომატიზაცია ხელს უწყობენ საწარმოებში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებას.

საბჭოთა კვების მუშაკებმა ომამდე თავი ისახელეს ნაკეთობათა მაღალი ხარისხით და სხვადასხვანაირი ასორტიმენტით. ასეთივე რეპუტაცია უნდა მოიპოვონ ამჟამადაც, მით უმეტეს, რომ მრეწველობას ჰყავს კვალიფიციური კადრები, რომლებმაც მდიდარი გამოცდილება დააგროვეს და იციან წარმოების „საიდუმლოებანი“. ყოველივე, რაც საამქროებიდან გამოდის, კარგად უნდა გაკეთდეს! რაოდენობა, ხარისხი, ასორტიმენტი—აი ყოველი საწარმოს წინაშე მდგომი მიზანი. არავითარი გადახვევა რეცეპტურისაგან! ეს წესი, რომელსაც კვების მუშაკები ზუსტად იცავდნენ ომამდე, ახლაც სავალდებულოა.

სსრ კავშირის კვების, ხორც-რძისა და თევზის მრეწველობის სამინისტროებს ხუთწლედისათვის მიცემული აქვთ უდიდესი სამშენებლო პროგრამა. მათ უნდა აღადგინონ და ააგონ 102 შაქრის, 33 საკონსერვო, 151 სპირტის ქარხანა, 107 პურის ქარხანა, 77 ხორცკომბინატი, 157 მაცივარი. 1.200 ერბო-კარაქისა და ყველის დამამზადებელი მექანიზებული ქარხანა, ათასობით მოტორიზებული, იალქნიანი და ნიჩბიანი ნავი და სხვ. სახელმწიფო ამ მიზნისათვის მილიარდობით მანეთს იძლევა. კვების მუშაკები ვალდებული არიან სამშენებლო სამუშაოები აწარმოონ სწრაფად და რაციონალურად, მომჭირნედ ხარჯონ ხალხის სახსრები. ასამუშავებელი საწარმოები იღებენ თანამედროვე მოწყობილობას, — საჭიროა მალე ავითვისოთ იგი. თევზის მრეწველობის მუშაკები იღებენ პირველხარისხოვან ტრაულერებს,—საჭიროა მიღებულ იქნას ყოველგვარი ღონისძიება, რომ ეს გემები რაც შეიძლება ნაკლებ ხანს იდგნენ ნაპირთან და რაც შეიძლება დიდხანს იმყოფებოდნენ ზღვაში. ტრაულერით თევზის ჭერა ჩვენს ქვეყანაში ახალი საქმე როდია, გამოცდილება გვაქვს, მაშასადამე, ყველაფერი დამოკიდებულია სამეურნეო მუშაკებისა და გემების მეთაურთა შემადგენლობის ოპერატიულობასა და გამჭრიახობაზე.

კვების მუშაკებს უნდა ახსოვდეთ პერსპექტივები და უზრუნველჰყონ ოპერატიული გეგმების შესრულება, რათა მათი საწარმოები მუშაობდნენ რიტმულად, შეუფერხებლად და დავალებას ყოველ დღე ასრულებდნენ. კვების მრეწველობის ის დარგები, რომელთაც სეზონური ხასიათი აქვთ, ამჟამად რემონტს ეწევიან. მათთვის ეს სამუშაო იმდენადვე მნიშვნელოვანია, როგორც ტრაქტორების ან კომბაინების რემონტი სოფლის მეურნეობაში. საჭიროა ყველაფერი გავითვალისწინოთ, ყველაფერი განვჭვრიტოთ, რათა ვერავითარმა დაბრკოლებამ გავლენა ვერ მოახდინოს ქარხნების შეუფერხებელ მუშაობაზე ახალი მოსავლის ნედლეულის მიღების შემდეგ.

ბოლშევიკური ტრადიციებით აღზრდილი საბჭოთა კვების მუშაკები მუდამ განირჩეოდნენ მისწრაფებით ნიადაგ იარონ წინ, დაიპყრონ ახალი პოზიციები. მათ სახელოვნად იმუშავეს სამამულო ომის წლებში. ისინი, ისე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, უდიდესი ენთუზიაზმით გამოეხმაურნენ ჩვენი დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ისტორიულ სიტყვას ამომრჩეველთა წინაშე და ერთმანეთს ეჯიბრებიან იმისათვის, რომ მოგვცენ მეტი პროდუქცია, რასაც ათობით მილიონი მომხმარებელი მოითხოვს.

კვების მრეწველობის მუშაკებმა, რომელთაც შეგნებული აქვთ თავიანთი პასუხისმგებლობა ჩვენი ქვეყნის წინაშე, ყოველი ღონე უნდა იხმარონ იმისათვის, რომ საუკეთესო ხარისხისა და უაღრესად ფართო ასორტიმენტის კვების პროდუქტების გამოშვება განუწყვეტლად დიდდებოდეს. საბჭოთა ხალხი ახალ-ახალ წარმატებას უსურვებს მათ იმ დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში, რომლებიც დასახულია სტალინური ხუთწლიანი გეგმით!

„პრავდის“ მოწინავე, 19/V.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

დალუპულ საშემოდგომო ნათესთა ფართობების საგაზაფხულო კულტურების დასათესად გამოყენების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ **დაადგინა:**

1. დაევალოთ რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და საოლქო (სამხარეო) აღმასკომებს:

პირველ რიგში უზრუნველჰყონ დალუპულ საშემოდგომო ნათესთა მთელი ფართობის სრული გამოყენება საგაზაფხულო კულტურების დასათესად;

გააფრთხილონ რაისაბჭოების თავმჯდომარეები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, რათა მათ აუცილებლად დასთესონ საგაზაფხულო კულტურები დალუპულ საშემოდგომო ნათესთა მთელ ფართობზე.

2. ნება დაერთოს სსრ კავშირის მიწათმოქმედების სამინისტროს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ დალუპულ საშემოდგომო ნათესთა ფართობებზე საგაზაფხულო კულტურების დათესვა ჩაუთვალოს 1946 წელს საგაზაფხულო თესვის სახელმწიფო გეგმის შესრულებაში.

დალუპულ საშემოდგომო ნათესთა ფართობებზე საგაზაფხულო კულტურების ნათესთა რაოდენობა საგაზაფხულო თესვის მსვლელობის ცნობებში აღნიშნულ იქნას ცალკე სვეტით.

სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის მეხუთიათასე ტრაქტორი

სტალინგრადი, 18 მაისი. (საქდესი). სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის მუშები, ინჟინრები და ტექნიკოსები ახალი ხუთწლედის პირველი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების დაწყებას ახალი გამარჯვებით შეხვდნენ. დღეს მთავარი კონვეიერიდან ჩამოვიდა მეხუთიათასე ტრაქტორი „სტზ-ნატი“.

საბჭოთა ჩაი

ხუთწლედის ბოლოს სამნახევარჯერ გადიდდება ჩაის ფოთლის მოსავალი ჩვენი ქვეყნის პლანტაციებში. ჩვენი ქვეყნის ჩაის მრეწველობა, რომელიც ყველაზე ახალგაზრდაა მსოფლიოში, ტექნიკის მხრივ ყველაზე მოწინავეა. საბჭოთა კავშირის ჩაის ფაბრიკები მოწყობილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. ფაბრიკებში ინერგება ახალი ტექნოლოგია, რომელიც საშუალებას იძლევა დავაჩქაროთ წარმოება და გავაუმჯობესოთ ჩაის ხარისხი. უკვე ახლა „საქართველოს თაიგული“ და „ექსტრა“ გემოთი არ ჩამოუვარდებიან მსოფლიოში საუკეთესო ჩაის — ტორჯილის ჩაის.

ჩაის მეურნეობისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი გამოსაცემად ამზადებს მთელ რიგ კაპიტალურ ნაშრომებს ჩაის გაშენებისა და წარმოების შესახებ. ამასწინათ თბილისში ქართულ ენაზე გამოვიდა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატ ი. ა. ხოჭოლავას წიგნი „ჩაის ტექნოლოგიის სახელმძღვანელო“. ამ წიგნში განზოგადებულია ჩაის წარმოების უცხოეთისა და საბჭოთა გამოცდილება. (საქდესი).

სამრეწველო ტიპის ახალი ორთქლმავლები

მურომი, 18 მაისი. (საქდესი). რეკონსტრუირებულ იქნება ძერჟინსკის სახელობის ორთქლმავალსარემონტო ქარხანა და იგი გადავა სამრეწველო ტიპის ორთქლმავლების მშენებლობაზე. ივლისში გამოუშვებენ „9—3“ სერიის პირველ ორთქლმავალს, რომელიც განკუთვნილია შინასაქარხნო ტრანსპორტზე — ფართო ლიანდაგის მისასვლელ გზებზე, ტორფის დამმუშავებელ ადგილებში, ქვანახშირის შახტებში, ტყის საჭრელებში და სხვ. სამუშაოდ. ტექნიკური და საექსპლოატაციო გამოცდის შემდეგ დაიწყება სამრეწველო ტიპის ორთქლმავლების სერიული წარმოება.

საცნობარო წიგნი უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის

ლენინგრადი, (საქდესი). გორკის სახელობის სტამბამ „პეჩატნი დვორმა“ დაამთავრა საცნობარო წიგნის ბეჭდვა ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის. 12 ნაბეჭდფორმიან წიგნში სამი ნაწილია. წიგნში არის უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესები და მისაღები გამოცდების პროგრამა, სასწავლებელთა მოკლე დახასიათება და ცნობა, თუ ვის ამზადებენ ისინი. წიგნში მოთავსებულია სსრ კავშირის უმაღლესი სასწავლებლების სრული სია ქალაქების მიხედვით.

ცნობარი დაბეჭდილია 100.000 ცალი ტირაჟით.

რუსი ექიმები ეთიოპიაში

საბჭოთა ექიმების ჯგუფი თვითმფრინავებით გაემგზავრა ადის-აბებას — ეთიოპიის დედაქალაქში, სადაც ეთიოპიის მთავრობის თხოვნით სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო საავადმყოფოსა და ამბულატორიას ხსნის. ეს სამკურნალო დაწესებულებანი სამედიცინო დახმარებას აღმოუჩენენ ადის-აბებისა და მისი ახლომახლო რაიონების მოსახლეობას. საავადმყოფოს შტატში 56 კაცი შედის. ძირითადი სამკურნალო კადრები იგზავნებიან საბჭოთა კავშირიდან, მუშაკთა ნაწილს კი ადგილობრივ მცხოვრებთაგან შეარჩევენ. საავადმყოფოს ექიმთა შემადგენლობა უზრუნველჰყოფს კვალიფიციურ დახმარებას სხვადასხვა ავადმყოფობის დროს. ადის-აბებას იგზავნებიან: ქირურგი, თერაპევტი, ოკულისტი, ვენეროლოგი, რენტგენოლოგი, სტომატოლოგი და სხვები. მოწყობილობა საავადმყოფოსა და სამკურნალო კაბინეტებისათვის უკვე გაიგზავნა ოდესას, საიდანაც ჯიბუტის ნავსადგურში წაიღებენ.

ეთიოპიის მთავრობამ საავადმყოფოსათვის ადის-აბების ერთ-ერთი საუკეთესო შენობა გამოჰყო.

რუსი ექიმები ეთიოპიაში მუშაობას პირველად როდი იწყებენ. ნახევარი საუკუნის წინათ რუსეთის წითელი ჯვრის საზოგადოების სანიტარულმა რაზმმა სახელი გაუთქვა რუსულ მედიცინას აფრიკაში. სამმა ექიმმა, 4 ფერშალმა და 13 სანიტარმა მონაწილეობა მიიღეს ეთიოპიის დაჭრილი მეომრებისათვის დახმარების აღმოჩენაში. ეთიოპია იმ დროს იტალიას ეომებოდა.

„მოსკოველი ჰაქიმების“ (ექიმების) სახელი შორს გაითქვა ადის-აბების ფარგლებს გარეთ. იმპერატორი მენელიკი დადიოდა სანიტარულ კარვებში და დიდხანს ადევნებდა თვალყურს, თუ როგორ იღებდა ჭრილობებიდან რუსი ქირურგი ყუმბარების ნამსხვრევებს. სანიტარული რაზმი მკურნალობდა დაჭრილებს და უფასო დახმარებას უწევდა მოსახლეობას. გულამაჩუყებელი იყო რაზმის გაცილება, როდესაც მან მუშაობა დაამთავრა და რუსეთში უნდა დაბრუნებულიყო. ათასობით ეთიოპი აცილებდა ქარავანს, რომელიც ჯიბუტს მიემგზავრებოდა.

რუსი ექიმები არაერთგზის დაბრუნებულან ეთიოპიაში და ამ ქვეყნის მოსახლეობა ალტაცებით ეგებებოდა მათ. რუსი მედიკოსების მიერ გახსნილი საავადმყოფო 1906 წლამდე არსებობდა. (საქდესი).

უკანასკნელი ცნობები

ბრაზილიაში ამხ. სურიცის ჩასვლის გამო

რიო-დე-ჟანეირო, 18 მაისი. (საქდესი). რიო-დე-ჟანეიროში საბჭოთა ელჩ ი. ზ. სურიცის ჩამოსვლა კვლავ დიდ ინტერესს იწვევს. გაზეთები ბეჭდავენ სტატიებს, რომლებშიც ლაპარაკია საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განმტკიცების საჭიროების შესახებ.

ამხ. სურიცი დიდძალ მისალმებას იღებს სხვადასხვა ორგანიზაციებისა და კერძო პირებისაგან. მისი გამოჩენა ქუჩებში ან საზოგადოებრივ ადგილებში ოვაციებსა და მისასალმებელ შეძახილებს იწვევს საბჭოთა კავშირის მიმართ. ასე იყო, კერძოდ, როდესაც მან ინახულა ეროვნული სურათების გალერია და კაზმულ ხელოვნებათა აკადემია, სადაც მხატვრებმა, სტუდენტებმა და მასწავლებლებმა მას გულმხურვალე მიღება გაუმართეს.

ტრუმენის ბრძანება ამერიკის შეერთებულ შტატებში რკინიგზელ მუშათა მომავალ გაფიცვასთან დაკავშირებით

ვაშინგტონი, 18 მაისი. (საქდესი). ტრუმენმა ხელი მოაწერა ბრძანებას ამერიკის რკინიგზებისადმი კონტროლის დაწესების შესახებ და რკინიგზელ მუშებს მოუწოდა—მოსპონ საყოველთაო გაფიცვის საფრთხე და განაგრძონ მუშაობა მთავრობის კონტროლით.

რკინიგზელ კონდუქტორთა დამოუკიდებელი პროფკავშირის თავმჯდომარემ უიტნიმ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ იგი არ მოითხოვს, რათა მუშებმა განაგრძონ მუშაობა, თუ მთავრობა თავის კონტროლს დააწესებს რკინიგზებისადმი.

ლენინგრადის ლომონოსოვის სახელობის ფაიფურის ქარხნის კოლექტივის მიერ ამხანაგ ი. ბ. სტალინისათვის მიძღვნილი საჩუქარი — მონუმენტური მხატვრულად შესრულებული ფაიფურის ვაზა 2½ მეტრის სიმაღლისა. ვაზის ერთ მხარეს გამოსახულია ამხანაგ სტალინის პორტრეტი, მეორე მხარეს—გამარჯვების სალუტი ლენინგრადში, აგრეთვე სამამულო ომის ცალკე ეპიზოდები.

ფოტო ვ. საველიევისა (საქდესის ფოტოქრონიკა)

უფროს სერჟანტ ვ. ა. გაბილიას, მაიორ კ. ზ. ცუცქირიძეს, გვარდიის ლეიტენანტ შ. ი. შურღაიას და კაპიტან ბ. ა. წულუკიძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

გაზეთ „კრასნაია ზვეზდაში“ გამოქვეყნებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ოფიცერთა და სერჟანტთა შემადგენლობის, აგრეთვე სამხედრო-საჰაერო ძალების ოფიცერთა და სერჟანტთა შემადგენლობის დიდი ჯგუფისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ. დაჯილდოებულთა ამ სიებში არიან ქართველი ხალხის შვილები უფროსი სერჟანტი **ვარლამ ალექსის-ძე გაბილია,** კაპიტანი **ბორის აბესალომის-ძე წულუკიძე,** მაიორი **კონსტანტინე ზაქარიას-ძე ცუცქირიძე** და გვარდიის ლეიტენანტი **შოთა იოსების-ძე შურღაია.**

ამავე ნომერში გამოქვეყნებულია ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულთა სია, რომელთა შორის არის **ბიქენტი იასონის-ძე მუშკუდიანი,** დაჯილდოებული **ლენინის** ორდენით.

მოწინავე სტატიაში სათაურით „გმირთა სახელი უკვდავია“, „კრასნაია ზვეზდა“ სწერს:

„დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ ბრძანებულებებს იმ საბჭოთა მეომრების დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც თავი გამოიჩინეს გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ბრძანებულებათა გამოქვეყნება ფრიად საგულისხმოა. ისინი ერთხელ კიდევ აღადგენენ ჩვენს მეხსიერებაში სახელოვან დღეებს დიდი სამამულო ომისას, რომელიც გადაიქცა საბჭოთა მეომრების მამაცობისა და გმირობის ლეგენდარულ ეპოპეად. ამასთან ერთად ეს ბრძანებულებანი ახალი ძალით მოწმობენ, თუ რა გულითადად ზრუნავს ჩვენი დედა-სამშობლო თავის მამაც დამცველებზე, როგორ უხვად აჯილდოებს საბჭოთა ხალხი თავისი შვილების საბრძოლო საგმირო საქმეებს“.

სტალინური ხუთწლიანი გეგმის პროპაგანდა

საკავშირო კ. პ. (ბ) ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის პარტიული აქტივის სახლში გაიხსნა ახალი სტალინური ხუთწლედისადმი მიძღვნილი გამოფენა.

ოთხ დარბაზში ორ ათეულ ფარზე გამოფენილია მასალები, რომლებიც წარმოადგენენ ამხანაგ სტალინის მიერ 1946 წლის 9 თებერვალს წარმოთქმული სიტყვისა და „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის კანონის“ ილუსტრაციას. გამოფენას აქვს განყოფილებანი: „საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვება“, „საბჭოთა შეიარაღებული ძალების გამარჯვება“ და სხვ.

მკაფიო დიაგრამები, ცხრილები და წერილებით გვაცნობენ ხუთწლიანი გეგმის ყველა ციფრს. ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების დიად პროგრამას.

ცალკე ფარი მიძღვნილი აქვს თემას: „უფრო ხანგრძლივი პერიოდით ბრძოლის სტალინური პროგრამა“.

სპეციალური დარბაზი გვიჩვენებს ახალ ხუთწლედში ქალაქ ლენინგრადისა და ლენინგრადის ოლქის განვითარების პერსპექტივებს.

გამოფენა იზიდავს მნახველთა ყურადღებას. ამასთანავე იგი დიდ დახმარებას გაუწევს აგიტატორებს ახალი ხუთწლედის გეგმის პროპაგანდაში.

* * *

მოსკოვის ლენინის რაიონის ფაბრიკა-ქარხნების, დაწესებულებებისა და სასწავლებლების 3 ათასზე მეტი ხელმძღვანელი მუშაკი სწავლობს სემინარებში სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის კანონს. მეცადინეობას ხელმძღვანელობენ მაღალკვალიფიციური პროპაგანდისტები და აგიტატორები. ასეთი სემინარები ტარდება შემდეგ ქარხნებში: „კრასნი პროლეტარი“, ორჯონიკიძის სახელობისა, „სტანკოკონსტრუქცია“, საკისრის მეორე, კარბიურატორისა და ფაბრიკა „კრასნი ოკტიაბრში“.

საქდესი უარჰყოფს

ინგლისის რეიტერის სააგენტო და ლონდონის გაზეთები „სანდი დისპეტჩი“ და „სანდი ექსპრესი“ ავრცელებენ ცნობებს, რომ „რუსებს გერმანიის არმიის ბევრი ყოფილი ოფიცერი შეჰყავთ წითელ არმიაში“ და რომ გერმანელი გენერლები „ეხმარებიან მომავლის წითელი არმიის წვრთნას“.

საქდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ეს ცნობები თავიდან ბოლომდე მოჭორილია და შეიძლება აიხსნას მხოლოდ მისწრაფებით—საზოგადოებრივი ყურადღება ააცილონ ამას წინათ გამოაშკარავებულ ფაქტებს გერმანიის ჯარების შესახებ, რომლებსაც სტოვებენ გერმანიის ოკუპაციის ბრიტანულ ზონაში. გარდა ამისა, ყველამ უნდა იცოდეს, რომ წითელ არმიას არ ესაჭიროება უცხოელი ოფიცრების, მით უმეტეს გერმანელი ოფიცრების დახმარება.

ბრძანებულება
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წ. 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ:

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ცხრა შვილი „სახელოვანი დედის“ I ხარისხის ორდენით

1. **ბერულავა** ანასტასია პავლეს-ასული — ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის კოლმეურნეობის წევრი
2. **გაჩეჩილაძე** მარგარიტა ივანეს-ასული — ზესტაფონის რაიონის სოფელ შრომის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
3. **ცქიტიშვილი** მინადორა გიორგის-ასული—ზესტაფონის რაიონის სოფელ პატარა განთიადის კოლმეურნეობის წევრი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს რვა შვილი „სახელოვანი დედის“ II ხარისხის ორდენით

1. **აბსავა** აგრაფენა დიმიტრის-ასული—ზუგდიდის რაიონის სოფელ ორჯონიკიძის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
2. **აბშილავა** ბუცა დავითის-ასული—ზუგდიდის რაიონის სოფელ ხეცერის კოლმეურნეობის წევრი
3. **ბარბაქაძე** თებრონე რომანოზის-ასული—ზესტაფონის რაიონის სოფელ ქვემო საქარის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
4. **ბეგაძე** გაიანე სიმონის-ასული — ზესტაფონის რაიონის სოფელ ფუთის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
5. **დავითაია** ბარბარე (ბაბო) სამსონის-ასული — ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელის კოლმეურნეობის წევრი
6. **ზიბზიბაძე** აგრაფენა სერაფიონის-ასული —ზესტაფონის რაიონის სოფელ როდინოულის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
7. **კიკალიშვილი** ანა მათეს-ასული — ზუგდიდის რაიონის სოფელ ორჯონიკიძის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
8. **ლომიძე** ნადეჟდა ჯიბილოს-ასული—ზესტაფონის რაიონის სოფელ კვალითის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
9. **პროსვეტოვა** ვერა ალექსის-ასული — მუშა, სოფელი ხეცერა, ზუგდიდის რაიონი
10. **სადღობელაშვილი** მარიამ სპირიდონის-ასული — დიასახლისი, ქ. ზესტაფონი, ზესტაფონის რაიონი
11. **შოთაძე** აგრაფენა ივანეს-ასული—ზესტაფონის რაიონის სოფელ დილიკაურის კოლმეურნეობის წევრი
12. **ჯაფარიძე** პაშა გუჯუს-ასული—ზუგდიდის რაიონის სოფელ ერგეტის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს შვიდი შვილი „სახელოვანი დედის“ III ხარისხის ორდენით

1. **ბიბილაშვილი** მინადორა ბიჭიას-ასული—ზესტაფონის რაიონის სოფელ ქვემო საქარის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
2. **გურგენიძე** ივდითი ყარამანის-ასული — ზესტაფონის რაიონის სოფელ II სვირის კოლმეურნეობის წევრი
3. **თოდუა** ვასასი კონტირის-ასული—დიასახლისი, ქ. ზუგდიდი, ზუგდიდის რაიონი
4. **კაპანაძე** მარიამ (მაშო) მათეს-ასული—ზესტაფონის რაიონის სოფელ საზანოს კოლმეურნეობის წევრი
5. **ლაბაძე** პელაგია ანთიმოზის-ასული — ზესტაფონის რაიონის სოფელ შროშის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი
6. **მერკვილაძე** პოლექსია სამსონის-ასული —ზესტაფონის რაიონის სოფელ მეორე სვირის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
7. **ნაჭყებია** არიადნა დავითის-ასული—ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭითაწყარის კოლმეურნეობის წევრი
8. **სამანიშვილი** ელენე გიორგის-ასული — ზესტაფონის რაიონის სოფელ საზანოს კოლმეურნეობის წევრი
9. **შელია** პერპეტო ცაკუს-ასული—ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯიხასკარის კომკავშირის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
10. **შენგელია** მარიამ ირაკლის-ასული—ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯიხასკარის კომკავშირის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
11. **ფხალაძე** ვერა ბიჭიას-ასული—ზესტაფონის რაიონის სოფელ ზედა საქარის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი
12. **წიწავა** ლიდა მიხეილის-ასული—ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშის კოლმეურნეობის წევრი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ექვსი შვილი „დედობის მედლის“ I ხარისხის მედლით

1. **ბელქანია** ელენე (ლენა) იანურის-ასული—ზუგდიდის რაიონის სოფელ კორცხელის კოლმეურნეობის წევრი
2. **ბელქანია** ვერა ივლიანეს-ასული — დიასახლისი, ქ. ზუგდიდი, ზუგდიდის რაიონი
3. **ბოჭორიშვილი** ქეთონა ალექსანდრეს-ასული — ზესტაფონის რაიონის სოფელ მეორე სვირის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი
4. **გრიგოლაია** ვალენტინა (ვალია) პროხორის-ასული — ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭითაწყარის კოლმეურნეობის წევრი.
5. **თუთარაშვილი** ბაბილინა ივანეს-ასული—ზესტაფონის რაიონის სოფელ მეორე სვირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
6. **კვარაცხელია** სოფიო ნოჩოს-ასული — ზუგდიდის რაიონის სოფელ კორცხელის კოლმეურნეობის წევრი
7. **კვინიკაძე** მარიამ სოლომონის-ასული—ზესტაფონის რაიონის სოფელ როდინოულის კოლმეურნეობის წევრი
8. **ლომინაშვილი** მარიამ დიმიტრის-ასული—ზესტაფონის რაიონის სოფელ მეორე სვირის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
9. **სხილაძე** პოლინა დარისპანის ასული — ზესტაფონის რაიონის სოფელ ილემის კოლმეურნეობის წევრი
10. **ტალახაძე** სოფიო მიხეილის-ასული — ზესტაფონის რაიონის სოფელ დიდი განთიადის კოლმეურნეობის წევრი
11. **ქარჩავა** ლიდა ბათას-ასული—ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭითაწყარის კოლმეურნეობის წევრი
12. **ქარჩავა** ევგენია (ჟენია) გუჯას-ასული — ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭითაწყარის კოლმეურნეობის წევრი
13. **ჩარგაზია** ლოლა დავითის-ასული—ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭითაწყარის კოლმეურნეობის წევრი
14. **ძიგაძე** ალექსანდრა სანდროს-ასული —ზესტაფონის რაიონის სოფელ ზედა საქარის კოლმეურნეობის წევრი
15. **ხიდაშელი** პელაგია ფარსადანის-ასული —ზესტაფონის რაიონის სოფელ მეორე სვირის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ხუთი შვილი „დედობის მედლის“ II ხარისხის მედლით

1. **აბესაძე** ნინო გიორგის-ასული — ზესტაფონის რაიონის სოფელ ქვემო საქარის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
2. **აველიციან** თამარ ტიგრანის-ასული — დიასახლისი, ქ. ზუგდიდი, ზუგდიდის რაიონი
3. **ანთია** გრაფი ბაზალის-ასული — ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭკადუაშის კოლმეურნეობის წევრი
4. **ალანია** ფიდოსი ჯათუას-ასული—ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯიხასკარის კომკავშირის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
5. **გიორგაძე** ანა სამსონის-ასული — ზესტაფონის რაიონის სოფელ პირველი სვირის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
6. **გიორგაძე** ციციკო სპირიდონის-ასული—ზესტაფონის რაიონის სოფელ პირველი სვირის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
7. **გვარამია** შუშა ივანეს-ასული—დიასახლისი, ქ. ზუგდიდი, ზუგდიდის რაიონი
8. **გაბრავა** ოვლიტა გუჯუს-ასული — ზუგდიდის რაიონის სოფელ ერგეტის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
9. **გაფრინდაშვილი** ვერა თადეს-ასული — დიასახლისი, ქ. ზუგდიდი, ზუგდიდის რაიონი
10. **ებანოიძე** ანეტა მაქსიმეს-ასული—ზესტაფონის რაიონის სოფელ ძირულის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
11. **თორდია** ბაბუცა კოსტას-ასული—ზუგდიდის რაიონის სოფელ კორცხელის კოლმეურნეობის წევრი
12. **კაპანაძე** მარიამ ერემოს-ასული—ზესტაფონის რაიონის სოფელ პირველი სვირის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
13. **კუპატაძე** ალიდა ნიკოლოზის-ასული — ზესტაფონის რაიონის სოფელ ქვემო საზანოს კოლმეურნეობის წევრი
14. **კვარაცხელია** ვერა ონისიმეს-ასული — ზუგდიდის რაიონის სოფელ კორცხელის კოლმეურნეობის წევრი
15. **მაღლაკელიძე** მარიამ თეოდეს-ასული—ზესტაფონის რაიონის სოფელ როდინოულის კოლმეურნეობის წევრი
16. **მარაქველიძე** იულია სიმონის-ასული — ზესტაფონის რაიონის სოფელ პირველი სვირის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი
17. **მაღლაკელიძე** ნატალია ალექსანდრეს-ასული — ზესტაფონის რაიონის სოფელ დიდი განთიადის კოლმეურნეობის წევრი
18. **ლიბრაძე** ლუდმილა ილიას-ასული — ზესტაფონის რაიონის სოფელ პირველი სვირის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი
19. **წაქაძე** ლუბა პარმენის-ასული — ზესტაფონის რაიონის სოფელ პირველი სვირის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
20. **ჭანკოტაძე** თამარ ვარდენის-ასული — ზესტაფონის რაიონის სოფელ წევის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის წევრი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. სტურუა**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**
1946 წ. 19 აპრილი, ქ. თბილისი.

მგზავრთა საზაფხულო გადაყვანა

18 მაისს მოსკოვის კვანძის რკინიგზის სამგზავრო მუშაკთა აქტივის კრებაზე განხილულ იქნა საკითხი მგზავრთა საზაფხულო გადაყვანის შესახებ. გზათა სამინისტროს ცენტრალური სამგზავრო სამმართველოს უფროსმა გენერალ-მაიორმა ანდრეევმა მოხსენებაში აღნიშნა, რომ ახალი გრაფიკით მუშაობის პირველ ორ დღეში 30 რკინიგზამ, მათ შორის კიროვის, დასავლეთის, კალინინის, სამხრეთ-დასავლეთის, ყარაგანდისა და სხვებმა, უზრუნველჰყო განრიგით ყველა სამგზავრო მატარებლის მოძრაობა.

— დიდი მნიშვნელობა აქვს, — ამბობს მომხსენებელი, — რომ საბჭოთა კავშირის მთელი რკინიგზები დღითიდღე გრაფიკს 100 პროცენტით ასრულებდნენ. მოხსენების გამო გაიმართა გაცხოველებული კამათი.

სიტყვა წარმოსთქვა გზათა მინისტრმა გენერალ-ლეიტენანტმა ი. ვ. კოვალიოვმა. მან ილაპარაკა რკინიგზელების მუშაობის შესახებ მგზავრთა საზაფხულო გადაყვანის საქმეში და ურჩია ფართოდ გაავრცელონ გამყოლთა ლუნინური ბრიგადების მოწინავე მეთოდები. მოძრაობის, გზის, ვაგონების მუშაკებმა ხელი უნდა შეუწყონ მატარებელთა მოძრაობის ახალი გრაფიკის შესრულებას. მგზავრთა გადაყვანა, 1 ივნისიდან საშვების გაუქმებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვნად გადიდდება.

თათბირის მონაწილეებმა მიიღეს მოწოდება საბჭოთა კავშირის ყველა რკინიგზელისადმი გაშალონ შეჯიბრება მგზავრთა გადაყვანის სანიმუშოდ მოწყობისათვის, უზრუნველჰყონ მგზავრთა მზრუნველობით და ყურადღებით მომსახურება. (საკდესი).

გამოცდების წინ სუვოროვის სასწავლებლებში

სუვოროვის სასწავლებლებში მთავრდება სასწავლო წელი. გადასასვლელი გამოცდები აქ ჩატარდება 1-დან 20 ივნისამდე.

დამტკიცებულია მომავალი გამოცდების ჩატარების წესები. იმ სუვოროველებს, რომლებსაც ფრიადი მაჩვენებლები ექნებათ ყველა საგანსა და ყოფაქცევაში, დააჯილდოებენ საჩუქრებითა და ქების სიგელებით. ვინც გამოცდას ვერ ჩააბარებს ერთს ან ორ დისციპლინაში, მათ აგვისტოში ექნებათ შესაძლებლობა ხელახლა ჩააბარონ გამოცდები. იმათ, ვისაც ორზე მეტი არადამაკმაყოფილებელი შეფასება ან „ორიანი“ ექნება რუსულ ენასა და მათემატიკაში, მეორე წელს დატოვებენ.

გამოცდების შემდეგ იმ მოწაფეებს, რომელთაც ნათესავები ჰყავთ, გაუშვებენ ერთი თვის შვებულებაში, დანარჩენები კი სასწავლებლებთან დაისვენებენ. არდადეგების მეორე ნახევარს — 25 ივლისიდან 25 აგვისტომდე — სუვოროველები საზაფხულო ბანაკებში გაატარებენ. (საკდესი).

პარტიული ცხოვრება

პარტიული ორგანიზაცია იბრძვის გეგმების შესრულებისათვის

ახალი ხუთწლიანი გეგმა ჩვენი კომბინატის კოლექტივს ავალებს მკვეთრად გაადიდოს ფართო მოხმარების საქონლის გამოშვება. წელს გეგმის გადამეტებით სამშობლოს უნდა მივცეთ 30 ტონა ნართი, 1.500 წყვილი წინდა და სხვა სატრიკოტაჟო ნაწარმი.

ამ ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის პარტიულმა ორგანიზაციამ გაშალა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. სტალინური ხუთწლიანი გეგმის საკითხებზე სისტემატურად ვაწყობთ ლექციებსა და მოხსენებებს. იმ ამხანაგებისათვის, რომლებსაც წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობა არ შეუძლიათ, ჩამოვაყალიბეთ ხუთწლიანი გეგმის შემსწავლელი 6 წრე. აგიტატორები საამქროებსა და ბრიგადებში ყოველდღიურად ატარებენ საუბრებს. მათ დიდ დახმარებას უწევს აგიტკოლექტივი როგორც თემების მომზადებაში, ისე ლიტერატურის შერჩევაში.

კომუნისტი აგიტატორი ვ. ბებიაშვილი თავის საუბრებს უკავშირებს საწარმოო საკითხებს. ეს ხელს უწყობს გეგმების წარმატებით შესრულებას. აპრილის გეგმა საამქრომ 250 პროცენტით შეასრულა. მაისშიც ასევე წარმატებით მუშაობს. კომუნისტები პ. პლეშკო და დ. მარჩენკო ყოველდღიურად ორ-ორ ნორმას იძლევიან.

საკეტერო საამქროს აგიტატორი კომუნისტი ლ. გამყრელიძე მუშებს ესაუბრა ხუთწლიან გეგმაზე და კომბინატის ამოცანებზე. სტახანოველებმა თ. აბესაძემ და კუზნეცოვამ საუბრის დასასრულს განაცხადეს:—დიადი სტალინური გეგმის წარმატებით შესასრულებლად ჩვენ ვიმუშავებთ ოთხ დაზგაზე, რათა დედა-სამშობლოს მივცეთ მეტი ფართო მოხმარების საგნები.

პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობის ფართოდ გაშლამ ხელი შეუწყო ჩვენი საწარმოს წინსვლას. თებერვლის მაჩვენებლებით მან საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მეორე ადგილი დაიკავა და ჯილდოდ 65 ათასი მანეთი მიიღო. მარტის გეგმაც გადაჭარბებით შეასრულა.

მაგრამ მოხდა ასეთი ფაქტიც: კომბინატი აპრილში ჩამორჩა. წინდების საამქრომ გეგმა მხოლოდ 12,7 პროცენტით შეასრულა. ჩამორჩა საკეტერო საამქროც. პარტიულმა ორგანიზაციამ დაწვრილებით შეისწავლა ჩამორჩენის მიზეზები. მოვიწვიეთ ღია პარტიული კრება, რომელსაც დაესწრნენ უპარტიო სპეციალისტებიც. კრების მონაწილეებმა მრავალი საყურადღებო წინადადება წამოაყენეს. დავსახეთ ღონისძიებანი. დაიწყო ბრძოლა მათი შესრულებისათვის. საამქროებში სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებას კომუნისტები ჩაუდგნენ სათავეში. განსაკუთრებული მეთვალყურეობა დავაწესეთ წინდების საქსოვ საამქროზე. ამან ნაყოფიც გამოიღო. საამქრომ მაისის პირველი დეკადის დავალება 117 პროცენტით შეასრულა. დაწინაურდა საგრეხი საამქროც. პირველი დეკადის გეგმა მან 121 პროცენტით გაანაღდა. კომუნისტები თავდადებით შრომობდნენ და წარმატებებსაც აღწევდნენ. განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს საპენტი საამქროს ახალგაზრდულმა ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი ქ. ლობაძე ხელმძღვანელობს, საგრეხი საამქროს ბრიგადამ (ბრიგადირი კომუნისტი, ვ. მეგრელიშვილი), კომუნისტებმა და კომკავშირელებმა—მ. ბალათურიამ, ი. გოგიჩაროვამ, ზოზდრევამ.

გაიზარდა სტახანოველთა რიგები. თუ პირველ კვარტალში კომბინატს ჰყავდა 390 სტახანოველი, ახლა არის 480.

პარტიულმა ორგანიზაციამ ენერგიული ზომები მიიღო მუშათა კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ტექმინიმუმის წრეებს და სტახანოველთა სკოლას მიამაგრა მაღალი კვალიფიკაციის მქონე კომუნისტები ნ. ივანიშვილი, ი. ბებიაშვილი, ნ. ანდრიანოვი. პარტიის წევრობის კანდიდატმა ამხ. ო. ბეჟუაშვილმა მოამზადა მანქანების შემკეთებელი მუშები ი. ოსტაპენკო და რ. ხლებნიკოვი. კომუნისტმა ვინოკოვმა, პარტიის წევრობის კანდიდატმა ლ. კუცმა, სტახანოველებმა დ. ბენდელიანმა და გალდამ მრავალი მუშა მოამზადეს. ისინი ახლა დიდი წარმატებით მუშაობენ. მაგალითად, ვ. ჟუდანოვა, რომელიც გეგმებს სისტემატურად ვერ ასრულებდა, სტახანოვური სკოლის გავლის შემდეგ დაწინაურდა, ყოველდღიურ დავალებას 137,5 პროცენტით ასრულებს და მაღალხარისხოვან ნართსაც ამზადებს.

კომუნისტები ხელს უწყობენ ზოგიერთი დეტალის ადგილობრივად დამზადების საქმეს. კომბინატის მთავარი მექანიკოსის კომუნისტ ნ. ივანიშვილის ხელმძღვანელობით ძაფსახვევი კონუსების აღდგენაზე მუშაობენ ი. ბებიაშვილი, ბუხრაძე და ა. ქარჩაული. ინჟინერმა ნ. ნერსესოვმა საკეტერო საამქროსათვის გამოიყენა ელასტიკური ლილვაკების გასარანდავი დაზგა, რომელიც საგრძნობლად ადიდებს მანქანების ნაყოფიერებას.

დამხმარე საამქროები (ხის დამმუშავებელი მექანიკური, სამსხმელო) ადგილობრივ ამზადებენ ისეთ დეტალებსა და მასალებს, რომლებიც წინათ სხვა რესპუბლიკიდან შემოგვქონდა.

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებით, მთელი კოლექტივის დარაზმვით კომბინატმა შესძლო მაისის პირველი დეკადის გეგმის გადაჭარბებით შესრულება, მაგრამ ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებები. ადგილი აქვს კადრების დენადობას, საამქროებს აკლიათ ზოგიერთი ნაწილები და დეტალები.

პარტიული ორგანიზაცია ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ სატრიკოტაჟო კომბინატმა არა მარტო მთლიანად, გადაჭარბებითაც შეასრულოს მეოთხე ხუთწლედით მის წინაშე დასახული ამოცანები.

ვ. კაპიანიძე
თბილისის სატრიკოტაჟო კომბინატის პარტბიუროს მდივანი

საქართველოს კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის პლენუმზე

ასობით პროპაგანდისტი და აგიტატორი განუმარტავს მშრომელებს მეოთხე სტალინური ხუთწლედით დასახულ გრანდიოზულ ამოცანებს. ხუთწლედის საკითხებზე დღემდე ჩატარდა 22 ლექცია და 13 კონსულტაცია. პირველადი პარტიული ორგანიზაციების დიდმა ნაწილმა განიხილა ხუთწლიანი გეგმის პროპაგანდის საკითხი და დასახა ღონისძიებანი. ამ მხრივ ჩამორჩნენ სახელმწიფო ვაჭრობის რაიონული განყოფილების, ვაქთა პირველი საშუალო სკოლის, ფინგანის, წინანდლისა და რუისპირის პარტიული ორგანიზაციები. ცუდად მუშაობს აკურის საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებთან ჩამოყალიბებული მიმდინარე პოლიტიკის წრე. კომუნისტებს ს. მიქელაძეს, ს. გულიაშვილს, დ. ომიაძეს რამდენიმე მეცადინეობა აქვთ გაცდენილი. ზოგიერთი მსმენელი სრულებით არ ესწრება მეცადინეობას. ყოველივე ამას პარტიული ორგანიზაცია ყურადღებას არ აქცევს. რაიონში არის სხვა ნაკლიც. ბევრი მუშაკი, რომელიც არჩევნების დროს აგიტაციას ეწეოდა, ახლა მუშაობაში არ არის მიზიდული. მეოთხე ხუთწლიანი გეგმის პროპაგანდის საქმეში სუსტად მონაწილეობენ პოლიტ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი: სასოფლო კლუბები, ბიბლიოთეკები და სამკითხველოები.

ახალი ხუთწლიანი გეგმის მიღებასთან დაკავშირებით პარტიული ორგანიზაციების პროპაგანდისტული და საგიტაციო მუშაობის საკითხი განიხილა საქართველოს კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის მორიგმა პლენუმმა. მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. ს. სილაგაძემ. კამათში მონაწილეობა მიიღო 8 ამხანაგმა.

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა რაიკომის პირველი მდივანი ამხ. გ. სეხნიაშვილი.

პლენუმმა დასახა სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი.

მაღაროელები სწავლობენ ხუთწლიანი გეგმის საკითხებს

ჭიათურის მაღაროელები სწავლობენ მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმის საკითხებს. ყველა მაღაროსა და საწარმოში შეიქმნა ხუთწლიანი გეგმის შემსწავლელი წრეები. საქალაქო პარტკაბინეტმა შეიმუშავა ახალი თემატიკა. მაღაროებში ლექცია-მოხსენებები ეწყობა შემდეგ თემებზე: „ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები“, „მრეწველობისა და ტრანსპორტის განვითარება ახალ ხუთწლედში“, „1946—1950 წლებში სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმა“, „ხალხის ცხოვრების მატერიალურ-კულტურული დონის ამაღლება ხუთწლიანი გეგმის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა“, „საბჭოთა მეცნიერების როლი ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავების საქმეში“ და სხვ.

პარტიულ კაბინეტში მოეწყო გამოფენა მეოთხე სტალინური ხუთწლედის საკითხების შემსწავლელთა დასახმარებლად. აქ თავმოყრილია ბროშურები და სტატიები, რომლებიც ახალ ხუთწლიან გეგმას ეხებიან.

ყველაფერი ეს დიდი საქმის მხოლოდ დასაწყისია. ყველა მაღაროელს ღრმად უნდა შევასწავლოთ ხუთწლიანი გეგმის საკითხები.

პ. ჟიოკაძე
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

სენატორ პეპერის გამოსვლა

ნიუ-იორკი, 16 მაისი, (საკდესი). სენატორმა პეპერმა (დემოკრატი ფლორიდის შტატიდან), რომელმაც სიტყვა წარმოსთქვა მედისონ — სკვერ გარდენში ომის ვეტერანებისათვის დახმარების საქმეში ხალხის მხარდაჭერის მოპოვების მიზნით მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკთა დამოუკიდებელი სამოქალაქო კომიტეტის მიერ მოწყობილ მიტინგზე, კვლავ მწვავედ გააკრიტიკა შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა და მოითხოვა, რომ შეერთებული შტატები და ინგლისი ესწრაფვოდნენ სამი დიდი სახელმწიფოს სრულ ერთიანობას. პეპერმა მოუწოდა ომის ვეტერანებს სათავეში ჩაუდგნენ ხალხთა ბრძოლას ხანგრძლივი მშვიდობისათვის, თუ ამის გაკეთება სახელმწიფო მოღვაწეებს არ შეუძლიათ. პეპერმა იწინასწარმეტყველა, რომ შეერთებული შტატებისა და ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროები შეეცდებიან ბრალი დასდონ საბჭოთა კავშირს პარიზის თათბირის ჩაშლაში, როგორც ისინი ცდილობდნენ ბრალი დაედოთ საბჭოთა კავშირისათვის საგარეო საქმეთა მინისტრების ლონდონის კონფერენციის ჩაშლაში. პეპერმა აღნიშნა აგრეთვე, რომ შეერთებული შტატები და ინგლისი ხმამაღლა აცხადებდნენ, რომ საბჭოთა კავშირი პასუხისმგებელია ლონდონის კონფერენციის ჩაშლისათვის, მაგრამ მათ არ აეხსნათ, რომ საბჭოთა კავშირი მტკიცედ მოითხოვდა მხოლოდ პოტსდამის შეთანხმების შესრულებას იმის შესახებ, თუ სახელდობრ ვინ უნდა მიიღოს მონაწილეობა დამარცხებულ მოწინააღმდეგესთან ხელშეკრულებათა დადებაში.

„რამდენადაც რუსები პარიზის თათბირზე მხარს უჭერდნენ ჩვენს ყოფილ მეგობარს ჩვენი საერთო მტრის წინააღმდეგ ომში,—სთქვა პეპერმა,—ეჭველია, რუსეთს დაედება ბრალი მეორე ჩაშლისათვის. იტყვიან, რომ რუსეთი წინანდებურად შეურიგებელი და შეუპოვარია. მე მგონია, რომ რუსებმა შეისწავლეს დასავლეთის სახელმწიფოების ძალის პოლიტიკის თამაში და გადასწყვიტეს გამოიყენონ ეს პოლიტიკა. როდესაც ომი დამთავრდა, მათ არ დაუნახავთ, რომ დასავლეთის სახელმწიფოები ისწრაფვოდნენ შეექმნათ ახალი მშვიდობა, რისთვისაც ისინი იბრძოდნენ. ამის ნაცვლად დასავლეთის სახელმწიფოები დაუბრუნდნენ ძალის პოლიტიკის წინანდელ თამაშს. რუსებმა დაინახეს, რომ დასავლეთის სახელმწიფოები ინარჩუნებენ მონოპოლიას ატომური ბომბის მიმართ, მიუხედავად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს არსებობისა და იმ ფაქტისა, რომ გაერთიანებული ერების მიზანია საყოველთაო მშვიდობის კოლექტიური დაცვა. მათ დაინახეს, რომ დიდი სამეულის ორი სხვა წევრი თავშეუკავებლად ცდილობს სტრატეგიული ბაზებისა და რაიონების მოპოვებას, ესწრაფვის ძველი ტიპის ცალმხრივ უშიშროებას, მიუხედავად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, უშიშროების საბჭოს არსებობისა და შესაძლებლობისა — საყოველთაო მშვიდობა უზრუნველყოფილ იქნას საერთაშორისო მოქმედებით. რუსებმა დაინახეს დასავლეთის სახელმწიფოების გადაწყვეტილება—არ დაუშვან გერმანიის მეტისმეტად დასუსტება და მიუხედავად გერმანიის მთელი საშინელი დანაშაულობისა, იგი შეინარჩუნონ კოზირად იმპერიის ბრძოლაში რუსეთის წინააღმდეგ, დაივიწყეს რა ის სრულიად უდანაშაულო ადამიანები, რომლებიც გერმანიამ წარსულ და ახლანდელ ომში დახოცა. რუსებმა დაინახეს, რომ იმავე ძველმა იმპერიებმა გადასწყვიტეს იმოქმედონ იმავე ძველი ხერხებით. მათ იგივე შეზღუდვა დაინახეს იმით, რომ ეს ძველი იმპერიები ატლანტიკის ქარტიის პრინციპებს იყენებენ მხოლოდ დასავლეთისათვის და მუდამ უარს ამბობენ ამ პრინციპებზე აღმოსავლეთის მიმართ. მათ დაინახეს იგივე ძველი თავის დაძვრენა, ფანდები და პირმოთნეობა ღერძის ქვეყნების უმცროსი ძმის—ფრანკოს გარშემო და ის, რომ ჩვენ მათი ნების წინააღმდეგ სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე გავაძვრინეთ არგენტინა. მათ დაინახეს ძველი ინტრიგები, მიმართული იმისაკენ, რომ რუსეთი განდევნილ იქნას შუა აღმოსავლეთიდან, ხმელთაშუა ზღვიდან, ბალკანეთიდან, აღმოსავლეთ ევროპიდან და თბილი ზღვებიდან. ინგლისში შარშან ერთ სადილზე ერთმა გულუბრყვილო ლედიმ განსაკუთრებული სერიოზულობით მკითხა: „რას ფიქრობთ თქვენ ამ რუსებზე, რომლებსაც ესაჭიროებათ ფლოტი და საზოგადოდ ყოველივე დანარჩენი!?“. მათ დაინახეს იგივე ძველი ანტირუსული პროპაგანდა, რასაც ეწევიან იგივე პრესა და იგივე პოლიტიკური მოღვაწეები და მრავალგზის უშიშროების საბჭოს მაგიდის გარშემო მათ ნახეს სულ იმავე ადამიანთა სახეები, რომლებიც ჰგვობდნენ [illegible] კონგრესში [illegible] დასავლეთის სახელმწიფოებმა გადასწყვიტეს რუსეთი მოაქციონ დასავლეთის იმპერიალიზმის მიერ დადგენილ მის ძველ საზღვრებში“.

შემდეგ პეპერმა განაცხადა, რომ სანამ ინგლისელებს გადაწყვეტილი აქვთ იბატონონ გიბრალტარში, სუეცსა, ახლო აღმოსავლეთსა, ბოსფორსა, საბერძნეთსა და იტალიაში, საბჭოთა კავშირს უფლება აქვს, ყოველ შემთხვევაში, „მეგობართა ფანჯრებიდან მეორე სართულში გადახედოს ტრიესტს“. პეპერი ამტკიცებდა, რომ საბჭოთა კავშირს უფლება აქვს მიიღოს ირანის ნავთის წილი, სანამ შეერთებული შტატები და ინგლისი გაბატონებულ როლს ასრულებენ საუდის არაბეთისა და ერაყის ნავთის კონცესიებში. პეპერმა შემდეგ აღნიშნა, რომ „საკმაოდ სასაცილო იყო იმის დანახვა, თუ რა ხმაური ავტეხეთ ყველამ ირანში რუსების ჯარების ყოფნის გამო“.

პეპერმა აღნიშნა, რომ ინგლისის ჯარები კვლავ არიან ეგვიპტეში, ინდოეთში, ბირმაში, ინდონეზიაში, ჰონკონგში, ერაყსა და ლიბანში. „ინგლისელები ლიბანში შევიდნენ, რათა იქიდან ფრანგები განედევნათ. ამჟამად ლიბანელები ამბობენ, რომ ისინი ვერ შესძლებენ ვერც ერთისა და ვერც მეორის განდევნას სულ მცირე 1947 წლამდე“.

პეპერმა ილაპარაკა ტრანსიორდანიაზე და განაცხადა: მსურს დავამშვიდო ისინი, ვინც სწუხს ბრიტანეთის იმპერიის უშიშროებაზე, და სარკასტულად აღნიშნა, რომ ინგლისელებმა ამას წინათ გააფორმეს შეთანხმება ტრანსიორდანიასთან ურთიერთდახმარების შესახებ. „მაგრამ, მიუხედავად რუსული აგრესიის ყოველგვარი გამოვლინებისა, რომელთა შესახებაც თქვენ ტყობილობთ გაზეთებიდან, ხოლო ზოგჯერ გესმით სახელმწიფო დეპარტამენტისაგან, კონგრესში და რადიოთი, ვიდრე საცოდავ ძია სემსა და ჯონ ბულს შეებრალებოდეთ, გაიხსენეთ, რომ ძია სემი კვლავ ჰფლობს დასავლეთ ნახევარსფეროს და ატლანტის ოკეანის დასავლეთ ნაწილს, იყოფს ან გაიყოფს აზორის კუნძულებს ინგლისთან, კვლავ ჰფლობს წყნარი ოკეანის უმეტეს ნაწილს, ჩინეთში მოქმედებს თავისი მიხედულებით, ხოლო მაკარტური კვლავ განაგებს იაპონიას“.

პეპერმა აღნიშნა, რომ ინგლისი აგრეთვე ახორციელებს კონტროლს მსოფლიოს ვრცელი რაიონებისადმი. პეპერმა სასაცილოდ აიგდო რეაქციონერთა მეცადინეობა—ამერიკელები დააშინონ რუსეთით — და განაცხადა: „როდესაც გეუბნებიან, რუსული საფრთხობელა მოგწვდებათო, არ უნდა გაიქცეთ და საწოლქვეშ არ უნდა დაიმალოთ“.

პეპერმა იკითხა: რატომ არ შეიძლება დაუყოვნებლივ მივაღწიოთ მშვიდობას? რატომ არ დაინაწევრეს და არ დააუძლურეს გერმანია? რატომ არ არის მიღწეული საერთაშორისო შეთანხმება ნედლეულის მსოფლიო მარაგის, წყალთა გზების ხელმისაწვდომობის შესახებ, ბაზების ერთობლივი მფლობელობისა და განიარაღების შესახებ?“ ჩვენ,—განაცხადა ორატორმა, — ვერასოდეს ვერ შევძლებთ მოვიპოვოთ ახალი მშვიდობა ძველებურად აზროვნებისას, ჩვენ ვერასოდეს ვერ შევძლებთ ახლებურად უზრუნველვყოთ მშვიდობა ძველი ომების, ძველი გეგმების არსებობისას. სახელმწიფო მოღვაწეთა მოვალეობაა იდგნენ მათი ამოცანების სიმაღლეზე, გაამართლონ მორჩილი, მდუმარე კაცობრიობის ნდობა, რომელმაც მათ მიანდო მშვიდობიანი გზით შეათანხმონ სხვადასხვა თვალსაზრისი და ადამიანური თანაგრძნობის ბრძმედში გასწმინდონ ხალხებსა და ქვეყნებს შორის გაგების სულისკვეთება. საბოლოო ანგარიშით ხალხი ეწირება ომებს და სისხლით იხდიდა მათ საფასურს... თუ სახელმწიფო მოღვაწეები არ შეასრულებენ თავიანთ მაღალ ამოცანებს, მაშინ ხალხს ეკისრება მოვალეობა უზრუნველჰყოს ნების ისეთი ერთიანობა და მშვიდობისადმი მისწრაფება, რომლებიც დაუძლეველი იქნებიან“. პეპერმა მოითხოვა, რომ ვეტერანები, რომლებმაც იციან, თუ რას ნიშნავს ომი, ხალხის სახელით გამოვიდნენ მშვიდობის დასაცავად.

თავისი სიტყვის დასაწყისში პეპერმა მაღალი შეფასება მისცა რუზველტის მოღვაწეობას და მკაცრად გააკრიტიკა რესპუბლიკელი სენატორი ბოლი (მინესოტის შტატიდან), „რომელიც ამას წინათ ისწრაფვოდა დიდი ლიბერალის პოზა მიეღო სენატში“. პეპერმა დაგმო ის ფაქტი, რომ კონგრესმა არ განახორციელა მთავრობის პროგრამა შეერთებულ შტატებში, უმთავრესად იმიტომ, რომ სხვისი აზრის არშემწყნარებელი კოალიცია გამოდის ამერიკელი ხალხის უმეტესობის ნების წინააღმდეგ.

ქავამ-ეს-სალტანეს განცხადება

თეირანი, 19 მაისი. (საკდესი). გუშინ საღამოს რადიოთი გადაცემულ იქნა კავამ-ეს-სალტანეს კომუნიკე, რომელშიც აღნიშნულია, რომ იგი ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა ირანისათვის ყველაზე კრიზისულ მომენტში, როცა მოღალატეთა ჯგუფის მავნებლური საქმიანობის შედეგად ირანის საგარეო და საშინაო მდგომარეობა მნიშვნელოვნად გართულდა, ეს ქვეყანა აღმოჩნდა ფინანსური და ეკონომიური კრიზისისა და გაღატაკების მარწუხებში.

კომუნიკეში ნათქვამია: ჩემი მუდმივი ზრუნვისა და სწორი პოლიტიკის მეოხებით გარდატეხა მოხდა ირან-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში,—ეს ურთიერთობა ნორმალური და მეგობრული გახდა. საზოგადოებრივი შეშფოთება შესწყდა. ჩემი მოღვაწეობის დროს შეჩერდა სიძვირე, მთავრობა შეუდგა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისაკენ მიმართულ ღონისძიებათა შემუშავებას და ფართო რეფორმების გატარებას. მე, აზერბაიჯანის საკითხის მშვიდობიანი გზით გადაჭრის სურვილით გამსჭვალულმა, მოლაპარაკება დავიწყე აზერბაიჯანის წარმომადგენლებთან, რომლების მხრივაც მე დავინახე ასეთივე კეთილმოსურნე განწყობილება ამ საკითხში. თუმცა ჯერ კიდევ არ არის მიღწეული სრული შეთანხმება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ სწორი გზის მეოხებით, რომელსაც ჩვენ დავადექით, აზერბაიჯანის საკითხი, რომლით დაინტერესებულია მთელი ხალხი, გადაიჭრება.

მოღალატეთა და გამცემთა ჯგუფი ფიქრობდა, რომ მე, უშუალოდ სახელმწიფო საქმეებით დატვირთულს, არ მექნებოდა შესაძლებლობა თვალყური მედევნებინა მათი ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის, ანდა უყურადღებოდ დავტოვებდი მათს საზიზღარ მუშაობას.

მთელი რიგი ინტრიგების გზით ისინი ისწრაფოდნენ შეერყიათ ჩემი ავტორიტეტი, ავრცელებდნენ ხმებს, რომ მე გადადგომას ვაპირებ ანდა კიდევაც გადავდექი, რომ ირანში წარმოებული პოლიტიკა შემცდარია, საჭიროდ არ მიაჩნდათ მოსკოვს ჩემი გამგზავრება.

ხალხისათვის თავსმოხვეული დეპუტატების ჯგუფის დანაშაულებრივმა საქმიანობამ კატასტროფამდე მიიყვანა ირანი. მათ სრულიად უსაფუძვლოდ უარჰყვეს პიშევარის სადეპუტატო მანდატი, მტრობასა და შუღლს სთესავდნენ ირანში; მათ ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამთ ხალხის კეთილდღეობის ხელშესაწყობად და გასაძლიერებლად, ისინი ისახავდნენ მხოლოდ თავიანთ პირად ანგარებითს მიზნებს, დადიოდნენ უცხოეთის მისიებში და ინტრიგებს ეწეოდნენ. ისინი მთავრობის შემადგენლობაში ასახელებდნენ მდაბალ, ულირს ადამიანებს. მთავრობის მხარდაჭერას მოკლებულნი, ისინი ამჟამად კვლავ ცდილობენ თავს მოგვახვიონ ახალი მეჯლისის დეპუტატობის თავიანთი კანდიდატურები, პროვოკაციისა და მოტყუების გზით ცდილობენ შუღლი ჩამოაგდონ ჩვენს ქვეყანაში.

მე ვიცი მთელი მათი ინტრიგები და მტკიცედ გადავწყვიტე ბოლო მოვუღო ჩვენი ქვეყნის ინტერესთა წინააღმდეგ მიმართულ ამ ინტრიგებსა და მოქმედებას.

კარიერის მოსაზრებითა და ანგარებითი მიზნებით როდი დამიკავებია პრემიერის პოსტი. მე არ ვაპირებ გადადგომას და საზოგადოებრიობის მხარდაჭერაზე დაყრდნობით განვაგრძობ მუშაობას. ვისწრაფვი რა ყველა სახელმწიფოსთან, კერძოდ სსრ კავშირთან, ურთიერთობის განმტკიცებისაკენ და ირანის საგარეო პოლიტიკაში წონასწორობის შენარჩუნებისაკენ, პირობას ვიძლევი, როგორც კი გადაწყდება აზერბაიჯანის საკითხი, შევუდგე ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისაკენ მიმართული ფართო რეფორმების გატარებას, და ამ საქმისათვის განზრახული მაქვს გამოვიყენო ხალხის პროგრესული ძალები. ისინი, ვინც ხელს შეუშლის ამ რეფორმების განხორციელებაში, მავნე მწერებივით იქნებიან გასრესილნი.

შარირის განცხადება

დელი, 18 მაისი, (საკდესი). დელის რადიოს ცნობით, რომელიც მიღებულია ბატავიიდან (კუნძული იავა), ინდონეზიის რესპუბლიკის პრემიერ მინისტრმა შარირმა 16 მაისს პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ სანამ ჰოლანდია არა სცნობს დამოუკიდებელ ინდონეზიის რესპუბლიკას, მანამდე შეუძლებელია ჰოლანდიის მთავრობასთან რაიმე ახალ მოლაპარაკების დაწყება.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

18-19 მაისს მიმდინარეობდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმი.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებ პლენუმზე მოხსენება გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. ბალავაძემ.

— ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში აქტიური მონაწილეობა,—ამბობს ამხ. ბალავაძე, — საქართველოს კომკავშირისა და მთელი ახალგაზრდობის პატრიოტული ამოცანაა. ჩვენმა კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ფართოდ გაშალეს მუშაობა ყოველდღიური, თვიური და წლიური გეგმების შესრულებისათვის. ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მტს-ებში და მშენებლობებზე ახალგაზრდობა დიდ აქტივობას იჩენს.

თბილისის საორთქლმავლო დეპოს კომკავშირული ორგანიზაცია აქტიურად და ენერგიულად იბრძვის მის წინაშე დასახული ამოცანების გადაჭრისათვის. აქ მიმდინარე წლის დავალებათა შესრულებისათვის ახალგაზრდებმა გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება. კომკავშირის ორგანიზაცია სერიოზულ მუშაობას ეწევა ახალი ხუთწლედის პოპულარიზაციისათვის. აგიტატორები, ახალგაზრდა ინჟინერი ბეთანელი, კვარანჩხილაძე და სხვები სისტემატურად ატარებენ საუბრებს ხუთწლედის საკითხებზე, რაზმავენ მსმენელებს ახალ საწარმოო წარმატებათა მოპოვებისათვის. ხუთწლიანი გეგმის შემსწავლელთათვის მოწყობილია წრე, ტარდება ლექციები და მოხსენებები. ასეთი მაგალითი მრავალია. კარგად მუშაობს თბილისის, ქუთაისის, ტყვარჩელის, მახარაძისა და გორის საწარმოო და საკოლმეურნეო კომკავშირულ ორგანიზაციათა უმრავლესობა.

ხუთწლიანი გეგმის ამოცანათა პროპაგანდა სუსტად არის დაყენებული სიღნაღის რაიონში. ახალი ხუთწლედის განხილვისადმი მიძღვნილი კომკავშირული კრებები აქ დაგვიანებით და მოუმზადებლად ჩატარდა. კომკავშირის ბორჯომის რაიკომი მხოლოდ ამ რამდენიმე დღის წინათ შეუდგა ახალგაზრდობაში ხუთწლიანი გეგმის პოპულარიზაციას. ბევრი ხელმძღვანელი კომკავშირული მუშაკი სუსტად მუშაობს თავისი იდეური დონის ასამაღლებლად. არადამაკმაყოფილებლად მუშაობს კავშირგარეშე ახალგაზრდობაში კომკავშირის ახალციხის რაიკომი. რაიკომი დაკმაყოფილდა წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ახალგაზრდების აღრიცხვით. სინამდვილეში სიაში შეტანილი ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი სისტემატურად არ მეცადინეობს. რაიონში არც ერთი პოლიტწრე არ არის ჩამოყალიბებული. რაიკომის მომხსენებელთა ჯგუფი არაფერს აკეთებს. ხუთწლიანი გეგმის პროპაგანდის მხრივ ნაკლოვანებებს ვხვდებით გურჯაანის, ბაშკიჩეთის, წითელწყაროს, ტყიბულის, საჩხერის, ქობულეთის, გეგეჭკორის და ქარელის რაიონების ცალკეულ კომკავშირულ ორგანიზაციებშიც.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყველა ახალგაზრდამ კარგად იცოდეს როგორც ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები, ისე თავისი რაიონის, საწარმოს, კოლმეურნეობის, მტს-ის მშენებლობის კონკრეტული პროგრამა. ეს საწინდარი იქნება ახალგაზრდობის წარმატებითი მუშაობისა ხუთწლედის დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის.

გეგმის შესრულებაში მთელი ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა მოითხოვს შინაკომკავშირული მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებას. გორის, ზესტაფონის, ქარელის, ჩოხატაურის, ცხაკაიას, ბორჯომის, თელავის, გურჯაანისა და სიღნაღის რაიონებში შინაკომკავშირული მუშაობა ძლიერ მოისუსტებს. მთელ რიგ პირველად ორგანიზაციებში კრებები მოუმზადებლად ან იშვიათად ტარდება. სუსტია კავშირგარეშე ახალგაზრდობაში მუშაობა. ამის გამო კომკავშირის რიგები არასაკმაოდ იზრდება. იშვიათად ატარებენ პლენუმებს და აქტივის სხდომებს კომკავშირის მახარაძის, ბოგდანოვკის, ბორჩალოს, მცხეთის, გაგრის, ყაზბეგის და ხულოს რაიკომები. ამ რაიონებში ხშირია პირველად კომკავშირულ ორგანიზაციათა მდივნების ცვალებადობა და სხვა.

— საქართველოს კომკავშირი,—განაცხადა დასასრულ ამხ. ბალავაძემ,— საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ყველაფერს გააკეთებს ხუთწლიანი გეგმის დიადი ამოცანების განსახორციელებლად, უფრო მტკიცედ დაირაზმება ბოლშევიკური პარტიის, მშობლიური სტალინის გარშემო.

ამხ. ბალავაძის მოხსენების გამო კამათში პირველი გამოვიდა საქართველოს ალკკ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ნ. იმნაიშვილი.

— ახალი სტალინური ხუთწლედის პირველი წლის ამოცანების გადაჭრისათვის,—სთქვა მან,—ქუთაისის ახალგაზრდობა ენერგიულად იბრძვის. მაუდის ფაბრიკის ფეიქართა ახალგაზრდულმა ბრიგადამ, რომელსაც ამხ. ყიფიანი ხელმძღვანელობს, რესპუბლიკაში პირველი ადგილი დაიკავა. აბრეშუმის კომბინატის ახალგაზრდულ ბრიგადას, რომელსაც ამხ. სხირელი მეთაურობს, ხელთ უპყრია საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა.

ქალაქის კომკავშირის ორგანიზაციებმა კრებებზე გულდასმით განიხილეს ხუთწლიანი გეგმა. კომკავშირელები შეუდგნენ დიდ სამუშაოთა გეგმის ღრმად შესწავლას. მათთვის სისტემატურად ეწყობა ლექციები. ახალგაზრდებმა დიდი ინტერესით მოისმინეს ლექცია თემაზე: „საწარმოო ძალების განლაგება მეოთხე ხუთწლედში", „ქუთაისი 1950 წელს" და სხვა.

საქართველოს ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. თ. თოდუამ აღნიშნა, რომ ახალგაზრდები ენთუზიაზმით მუშაობენ მარცვლეული კულტურების, ციტრუსებისა და ჩაის პლანტაციების ფართობის გადიდებისა და მოსავლიანობის ამაღლებისათვის. გალში 96 კომკავშირელი უვლის ჩაის 48 სტახანოვურ ჰექტარს. ისინი პირობას იძლევიან საშუალოდ ჰექტარზე 7.609 კილოგრამი ჩაი მიიღონ. 26 კომკავშირელმა დასამუშავებლად აიღო 7,8 ჰექტარი თამბაქო. ისინი საშუალოდ ჰექტარზე 21 ცენტნერი თამბაქოს მიღებისათვის იბრძვიან. 78 კომკავშირელმა დასამუშავებლად 78 ჰექტარი სიმინდის ყანა აიღო. მათ ჰექტარზე საშუალოდ 522 ფუთი სიმინდი უნდა მიიღონ. ტყვარჩელის ახალგაზრდობა აქტიურ მონაწილეობას იღებს ახალი შახტების მშენებლობაში. სტალინის სახელობის შახტში ყველა ახალგაზრდა გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო დავალებებს.

აფხაზეთში 1.146 აგიტატორი ეწევა ხუთწლიანი გეგმის პოპულარიზაციას. ჩამოყალიბებულია 65 წრე. ეწყობა ლექციები და მოხსენებები. ბიბლიოთეკებში მოწყობილია მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურისა და დიაგრამების გამოფენები ხუთწლიანი გეგმის შემსწავლელთა დასახმარებლად.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე ამხანაგები კ. დოლიძე (საქართველოს ალკკ აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი), მ. მეგრელიშვილი (ალკკ თბილისის კომიტეტი), გ. ბენდიანიშვილი (ონის რაიკომი), გამყრელიძე (ჭიათურის რაიკომი), ვ. ხატიაშვილი (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტი), ვ. ბექუაშვილი (სიღნაღის რაიკომი), ა. ფარულავა (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე), ა. გობრონიძე (მახარაძის რაიკომი), მ. გოგიჩაიშვილი (საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი), ჩხეიძე (შრომითი რეზერვების სამმართველო), გ. მათიაშვილი (თელავის რაიკომი), ვ. კუპრაძე (საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო), ს. კოტაევი (საქართველოს ალკკ სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტი), ო. თავყელიშვილი (გორის რაიკომი).

პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილება.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. ბარამიამ.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

ფასების დამრღვევნი დაისაჯნენ

ჩვენი გაზეთის 5 აპრილის ნომერში დაბეჭდილი იყო წერილი სათაურით „გავაუმჯობესოთ სასადილოების მუშაობა". წერილი ამჟღავნებდა თბილისის საზოგადოებრივი კვების ტრესტის სასადილოებსა და სასაუზმეებში საბჭოთა ვაჭრობის წესების უხეშად დარღვევის ფაქტებს და სხვა ბოროტმოქმედებებს.

თბილისის საზოგადოებრივი კვების ტრესტის დირექტორი ამხ. ვ. ჩარკვიანი გვატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. ფასების დამახინჯებისა და სხვა უმსგავსო მოქმედებისათვის სამუშაოდან მოხსნილია და პასუხისგებაშია მიცემული № 97 სასადილოს დირექტორი გონგაძე.

სამუშაოდან მოხსნილი არიან აგრეთვე № 91 სასადილოს მებუფეტე გოქსაძე, № 132 სასაუზმის მებუფეტე დარცმელიძე და № 198 სასაუზმის მუშაკი თოხაძე. განთავისუფლებულია სამუშაოდან № 117 სასადილოს დირექტორი რამიშვილი.

№ 132 სასაუზმის გამგეს დაუშვილს, რესტორან „ევროპის" დირექტორს აგასევს, რესტორან „ვოსტოკის" მუშაკს ილიჩენკოს და № 198 სასაუზმის გამგეს თუმანიშვილს გამოეცხადათ სასტიკი საყვედური.

№ 143 სასაუზმის გამგე უგრეხელიძე უფაქტურო პროდუქტებით ვაჭრობისათვის ჩამოქვეითებულია თანამდებობიდან.

თბილისის საზოგადოებრივი კვების ტრესტის მიერ დასახულია ღონისძიებანი სასადილოებისა და სასაუზმეების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

რატომ ირღვევა კომბაინების რემონტის გრაფიკი?

სიღნაღის რაიონის მტს-ებში კომბაინებისა და სალეწი მანქანების რემონტი არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

15 მაისისათვის წნორის მტს-ს (დირექტორი ამხ. ქებურია, უფროსი მექანიკოსი ამხ. გურაშვილი) 21 კომბაინიდან შეკეთებული ჰქონდა 11. ალაზნის მტს-ს (დირექტორი ამხ. გელაშვილი, უფროსი მექანიკოსი ამხ. გრიგოლია)—28-დან 12, ხოლო ულიანოვკის მტს-ს (დირექტორი ამხ. მიროტაძე)—27-დან 6. ალაზნის მტს-ში შეუკეთებელია კომბაინების 8 ძრავი, ულიანოვკის მტს-ში—12 და წნორის მტს-ში—9. ალაზნისა და ულიანოვკის მტს-ები სალეწი მანქანების რემონტს ჯერაც არ შესდგომიან.

შესაკეთებელ კომბაინებსა და კომბაინის ძრავებზე შემდგარი არ არის სადეფექტო უწყისი, ხოლო თუ რომელიმე კომბაინზე უწყისს ადგენენ, ისიც არასრულია. ნაწილების ვარგისიანობაზე დაწესებული არ არის მტკიცე კონტროლი, არ სდგება სათანადო აქტი. წნორისა და ალაზნის მტს-ებში იყო შემთხვევა, რომ ვარგისი დეტალების წუნდების აქტი შეადგინეს.

რაიონის კოლმეურნეობებშიც ნელი ტემპებით მიმდინარეობს მოსავლის ასაღები იარაღ-მანქანების რემონტი. 74 სათიბი მანქანიდან შეკეთებულია მხოლოდ 42 და 54 ცხენის ფოცხიდან—51.

სოფელ ულიანოვკის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე მ. პატრიასოვი), მალაროს კოლმეურნეობა „ლენინის გზა" (თავმჯდომარე შ. ძნელაშვილი) და კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ს. გუგუშვილი) ჯერ კიდევ არ შესდგომიან იარაღ-მანქანების რემონტს.

მოსავლის აღების დაწყებამდე დიდი დრო არ არის დარჩენილი. საჭიროა ახლავე მივიღოთ გადამჭრელი ზომები, რომ ყოველმხრივ მომზადებულად შევხვდეთ უმნიშვნელოვანეს პერიოდს სოფლის მეურნეობაში—მოსავლის აღებას.

გ. ყაჯრიშვილი

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ახალციხის რაიონმა ხვნა-თესვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა

კოლმეურნეობებმა თავთავიანი კულტურების თესვის გეგმა 102,5 პროცენტით შეასრულეს, სიმინდისა კი 114,4 პროცენტით. თესვაში დაწინაურდნენ სოფელ აწყურის სტალინის, სოფელ ბოგას კიროვისა და ელიაწმინდის მარქსის სახელობის კოლმეურნეობები.

თესვა გრძელდება.

რაიონში მასობრივად დაიწყო თავთავიანი კულტურების მარგვლა. 16 მაისამდე გამარგლული იყო 2.350 ჰექტარი. კოლმეურნეობები პირობას იძლევიან ეს სამუშაო ვადამდე დაამთავრონ.

დაიწყო ანეულის ხვნა. გეგმით უნდა მოიხნას 1.400 ჰექტარი, უკვე მოხნულია 320 ჰექტარი მიწა.

ნ. ფარჯანაძე

„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი

მოწინავე კოლმეურნეობებმა ჩაის კრეფის მაისის გეგმა შეასრულეს

გალის რაიონში მასობრივად დაიწყო ჩაის ფოთლის კრეფა. 15 მაისისათვის მოკრეფილი იყო 84 ტონა ჩაი —გეგმის 21,1 პროცენტი. სოფელ დიხაზურგის კოლმეურნეობა „ბოლშევიკმა", გალის სტალინური კონსტიტუციის სახელობის და სოფელ საბერიოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს მაისის გეგმა.

სოფელ თაგილონის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველები ნადია აბლოთია, ქუნა და თალიკო შარიები, მარინე ბოკუჩავა დღიურად ჰკრეფენ 70 კილოგრამ ჩაის ფოთოლს. აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობაში კრეფა გაცხოველებით სწარმოებს. მეურნეობის მუშები მიქაძე, ბიგვავა, სკლიაროვა და ლეონტიევა კრეფის დღიურ დავალებას 700-800 პროცენტით ასრულებენ.

გალის ფაბრიკამ უკვე გადაამუშავა 41 ტონა ჩაის ფოთოლი, აჩიგვარისამ —11 ტონა, ნაბაკევისამ—9 ტონა.

ს. შონია

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ცხრა ბატკანი ერთი ცხვრისაგან ყოველწლიურად

ამბროლაურის რაიონის ახალსოფლის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ქეთევან ბედენაშვილმა გამოზარდა ადგილობრივი ჯიშის ცხვარი, რომელიც წელიწადში 3-ჯერ იძლევა ნამატს, ამასთან იგი ყოველ დოლზე სამ კრავს იგებს. ამგვარად ეს ცხვარი წელიწადში 9 ბატკანს იძლევა და მათ საკუთარი რძით ჰკვებავს. მესამე წელია, რაც ეს ცხვარი ნამატს იძლევა. მან უკვე გაზარდა 27 ბატკანი.

საქართველოს მხარეთმცოდნეობის საზოგადოება

ათი წელია მუშაობს საქართველოს მხარეთმცოდნეობის საზოგადოება, რომელსაც საპატიო ამოცანები აქვს დაკისრებული. ჩვენი რესპუბლიკის მრავალფეროვანი ბუნების, ყოფისა და შრომა-საქმიანობის შესწავლას შეუძლია გამოავლინოს ახალი საწარმოო რესურსები, ხელი შეუწყოს ქვეყნის ეკონომიურ დაწინაურებას, მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლებას.

ათი წლის მანძილზე მხარეთმცოდნეობის საზოგადოების პრეზიდიუმმა მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა. ყოველწლიურად ფართოვდებოდა საზოგადოების უჯრედებისა და ფილიალების ქსელი. საქართველოს სხვადასხვა რაიონებში იგზავნებოდნენ საზოგადოების აქტიური წევრები, რომლებიც ადგილზე ეწეოდნენ საორგანიზაციო მუშაობას: მოსახლეობას აცნობდნენ საზოგადოების წესდებას, განუმარტავდნენ მის ამოცანებს, ატარებდნენ საუბრებსა და ლექციებს. საზოგადოების ფილიალები ყალიბდებოდა მხარეთმცოდნეობის მუზეუმებთან, რომლებიც აგრეთვე ემსახურებიან მხარის შესწავლის საქმეს.

მუზეუმების საშუალებით საზოგადოება ცდილობდა ადგილზე შეექმნა მხარის შესწავლის ბაზა, სადაც გაერთიანდებოდნენ ამ საქმით დაინტერესებული პირები. საზოგადოების ინიციატივით რაიონების მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში ეწყობოდა სხვადასხვა კუთხეები, რომლებიც ასახავდნენ ადგილობრივი მოსახლეობის ისტორიას, ყოფა-ცხოვრებას და შრომა-საქმიანობას

საზოგადოების წევრები კონსულტაციებით დახმარებას უწევდნენ სამხარეთმცოდნეო ფილიალებსა და რაიონების მუზეუმებს (ახალციხე, თელავი, ქუთაისი, გორი, მესტია, ცაგერი და სხვ.), აგრეთვე ცალკეულ მხარეთმცოდნე მუშაკებს მასალების შეკრებასა და თემატიკის დამუშავებაში. ისინი რაიონების ფილიალებს აწვდიდნენ აგრეთვე მასალების შესაკრებად საჭირო პროგრამებს, ინსტრუქციებს, ბროშურებს.

მხარეთმცოდნეობის კაბინეტი დიდ მომსახურებას უწევდა ქალაქის მასწავლებლობას სასკოლო მხარეთმცოდნეობის საკითხისა და ამოცანების გარკვევაში. საზოგადოების წევრებმა კაბინეტში ჩაატარეს რამდენიმე თემატიკური ხასიათის მოხსენება.

რაიონის ფილიალებთან ერთად საზოგადოებამ მოაწყო ექსპედიციები სამეგრელოში, მესხეთში, გურიაში, სვანეთში, კახეთსა და ქართლში. დაგროვდა დიდძალი მასალა, რომლის ნაწილი დამუშავდა და დაიბეჭდა („ქართული შაირები", „მესხეთ-ჯავახეთი", „გურული ფირალები", „ფშაური მოლექსეები").

საზოგადოება ხელს უწყობდა მხარეთმცოდნეობის დარგში მუშაობით დაინტერესებულ პირებს. ისინი იღებდნენ ინდივიდუალურ დავალებებს და აწარმოებდნენ ნაყოფიერ მუშაობას. მაგალითად, ს. გულედანი ზემო სვანეთში მუშაობდა, ი. შილაკაძე გურიაში, მ. ელიჯერაშვილი კახეთში, ბერიშვილი თუშეთში, ბურდული მთიულეთში, როზა თავდიდიშვილი ქუთაისში ებრაელთა ყოფაცხოვრების შესასწავლად.

მოეწყო ექსპედიცია გეგუთში კოლმეურნეობის „წინსვლის" შესწავლისათვის. ექსპედიციამ შეკრიბა საყურადღებო მასალა, რომელიც დამუშავებული და გამზადებულია დასაბეჭდად.

სამამულო ომის პერიოდში საზოგადოებამ თავისი მუშაობა წარმართა სამშობლოს დასაცავად. ამ მიზნით იგი ხელმძღვანელობას უწევდა რაიონულ ფილიალებსა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმებს დიდი სამამულო ომის ამსახველი გამოფენების მოწყობაში. საზოგადოებამ დაბეჭდა მთელი რიგი მეცნიერულ-პოპულარული ხასიათის ბროშურები ქართველი ხალხის გმირული წარსულიდან („ერეკლეს გმირობა და თავდადება", „მინგრელები ომის სამსახურში", „თამარ მეფე ხალხურ სიტყვიერებაში"). გამოფენების მოსაწყობად საზოგადოებამ გამოსცა თემატიკურ-საექსპოზიციო გეგმა — „დიდი სამამულო ომი".

საზოგადოების მიერ დაგროვებული მასალები მოითხოვდნენ დამუშავებას და პუბლიკაციას. დღემდე დავბეჭდეთ 23 სხვადასხვა სახელწოდების სამეცნიერო-პოპულარული შრომა და ნარკვევი. ამჟამად დასაბეჭდად გამზადებულია ათი შრომა.

საჭიროა საქართველოს მხარეთმცოდნეობის საზოგადოების მუშაობა უფრო ფართოდ გაიშალოს, რათა მეტი წვლილი შევიტანოთ ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღმავლობაში.

სერგი მაკალათია

აფხაზეთის კურორტები 1946 წელს

აფხაზეთის კურორტებს ზღვის სიახლოვემ, მსუბუქმა ჰავამ, შესანიშნავმა პლაჟებმა, მდიდარმა და მრავალფეროვანმა სუბტროპიკულმა მცენარეულობამ დამსახურებულად გაუთქვეს სახელი მთელს საბჭოთა კავშირში. ომამდე ყოველწლიურად რამდენიმე ათეული ათასი ორგანიზებული მოაგარაკე იმყოფებოდა ჩვენს დასასვენებელ სახლებსა და სანატორიუმებში.

სამამულო ომის დროს კურორტებზე შეჩერდა მუშაობა. მშვიდობიან პერიოდში შესვლისთანავე კურორტებზე კვლავ გაჩაღდა სარემონტო, აღდგენითი და სხვა მოსამზადებელი სამუშაოები. 1945 წელს ამ სამუშაოებზე გათვალისწინებული იყო და ათვისებულ იქნა 3 მილიონამდე მანეთი, აქედან კეთილმოწყობაზე—ნახევარ მილიონზე მეტი. კაპიტალურად შეკეთდა და ამუშავდა ერთ-ერთი საუკეთესო სანატორიუმი გაგრაში—სტალინის სახელობისა, აგრეთვე სანატორიუმი „აფხაზეთი" ახალ ათონში. ამ სანატორიუმებში ომის შემდეგ ასობით მშრომელმა დაისვენა და იმკურნალა. აქ იყვნენ დიდი სამამულო ომის მონაწილენი, გმირი ქალაქის ლენინგრადის მამაცი ადამიანები, საბჭოთა კავშირის დედაქალაქის მოსკოვის მშრომელები, ლეგენდარული სტალინგრადის გმირი დამცველები.

ტყვარჩელის რადიაქტიურმა საკურნალომ 1945 წლის სეზონში მომსახურება გაუწია 2.900 ავადმყოფს.

საკურორტო მეურნეობის ხაზით განსაკუთრებით დიდი მუშაობა გაიშალა მიმდინარე წელს.

პარტიამ და მთავრობამ ამოცანად დაგვისახეს 1946 წელს აღვადგინოთ კურორტთა მნიშვნელოვანი ნაწილი. მიმდინარე წლის მარტო პირველ კვარტალში სარემონტო-აღდგენით სამუშაოებზე გათვალისწინებული იყო 1.200.000 მანეთი.

კაპიტალურად არის შეკეთებული და 1946 წლის 10 თებერვლიდან ამუშავდა ლენინის სახელობის 300-საწოლიანი სანატორიუმი გულრიფშში. 150 საწოლი გათვალისწინებულია სამამულო ომის ინვალიდებისათვის, ხოლო 150 საწოლი—საერთო საკურორტო ტიპისაა.

მთავრდება 260-საწოლიანი კომბინატის „გარიფშ-რიცას" რემონტი გაგრაში, 80-საწოლიანი სანატორიუმისა ახალ ათონში. მზად არის და მალე დაიწყებს მუშაობას 30-საწოლიანი № 5 სანატორიუმი სოხუმში. მოსამზადებელი მუშაობა სწარმოებს 295-საწოლიანი სანატორიუმის — „კოლხიდა-ქოექვარას" გასახსნელად გაგრაში. დაჩქარებით სწარმოებს სარემონტო სამუშაოები ტყვარჩელის წყალსამკურნალოებში. მაისის შუა რიცხვებში იქ დაიწყება ავადმყოფების მიღება.

1946 წლისათვის დაგეგმილია აფხაზეთის კურორტთა მთავარი სამმართველოს სისტემის სანატორიუმებში ყოველთვიურად 1.140 კაცის ერთდროული გატარება.

სწარმოებს საერთო-საკურორტო პოლიკლინიკებისა და წყალსამკურნალოების სარემონტო სამუშაოები გაგრასა და ახალ ათონში. წელს მათ უნდა შეასრულონ რამდენიმე ასეული ათასი პროცედურა. ეს პოლიკლინიკები, და წყალსამკურნალოები, რომელთაც აქვთ სპეციალური კაბინეტები, მოწყობილობა, მოემსახურებიან არა მარტო კურორტის კონტინგენტს, არამედ ადგილობრივ მოსახლეობასაც.

ზღვის პლაჟები უდიდეს როლს ასრულებენ მკურნალობის საქმეში. ამჟამად სწარმოებს მათი კეთილმოწყობა.

განსაკუთრებით დიდი სამუშაოებია ჩატარებული საკურორტო ტერიტორიების კეთილმოსაწყობად. გასულ წლებთან შედარებით უკეთესად გამოიყურება კურორტთა ბაღებისა და პარკების მეურნეობა. მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

აფხაზეთის კურორტებს აქვთ 80 ჰექტარი საერთო ფართობის დამხმარე მეურნეობანი. ისინი სერიოზულ დახმარებას უწევენ სანატორიუმებს ახალი ბოსტნეულით მომარაგებაში. მარტო მარცვლოვანი კულტურები მიმდინარე წელს დაიჭერს 18 ჰექტარს, კარტოფილი—32 ჰექტარს, ბოსტნეულ-ბაღჩეული—15-მდე ჰექტარს.

საკურორტო მეურნეობის აღსადგენად აფხაზეთის კურორტების მუშაკებმა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი გაატარეს. მაგრამ ჯერ კიდევ მთლიანად არ არის გამოყენებული ყველა შესაძლებლობა შინაგანი რესურსების მობილიზაციისა და ადგილზე სამშენებლო მასალების გამოძებნისათვის. ზოგან ჭიანურდება სანატორიული ობიექტების რემონტი, ყურადღება არ ექცევა შესრულებული სამუშაოების ხარისხს. გულრიფშში, ლენინის სახელობის სანატორიუმში დამთავრებული არ არის ბაღებისა და პარკების მოსაწესრიგებელი სამუშაოები, დამხმარე მეურნეობებშიც ნელი ტემპით მუშაობენ, საგრძნობლად ჩამორჩება ხვნა-თესვა.

პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით აფხაზეთის კურორტთა მუშაკები ყველაფერს გააკეთებენ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

ლ. კურსუა

აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტთა მთავარი სამმართველოს უფროსი

ქლუხორი

ახალი ქარხნები

ქლუხორიდან ცამეტი კილომეტრის დაშორებით მზისის სასოფლო საბჭოში შენდება აგურ-კრამიტის ქარხანა, რომელიც მთლიანად დააკმაყოფილებს რაიონის მოთხოვნილებას. მშენებლობაზე დაიხარჯება 550.000 მანეთი. ქარხანა აგვისტოში ამუშავდება და წელს 300 ათას ცალ აგურს და 150 ათას ცალ კრამიტს გამოუშვებს.

სოფელ ტებერდაში რაიონის ადგილობრივმა სამრეწველო კომბინატმა ააგო კირის ქარხანა, რომელმაც უკვე გამოუშვა პირველი 50 ტონა კირი.

ორი ახალი საავადმყოფო

მოსახლეობის პირველი სამედიცინო დახმარებისათვის რაიონის ყველა სასოფლო საბჭოში გახსნილია ამბულატორიული ტიპის სამკურნალო პუნქტები. ამას გარდა, გადაწყდა მიმდინარე წელს დაბა ტებერდასა და სოფელ მზისაში გაიხსნას 10-10 საწოლიანი საუბნო საავადმყოფოები, რისთვისაც გამოყოფილია შესაფერისი შენობები. ამ დღეებში მიიღებენ საჭირო ინვენტარსა და თეთრეულს.

საავადმყოფოები აგვისტოს დამდეგს გაიხსნება.

ახალი ხიდი მდინარე ტებერდაზე

ტებერდის სასოფლო საბჭო რაიონის ცენტრთან დაკავშირებულია სოხუმის გზით. უკანასკნელად მდინარე ტებერდის ხიდი ძალზე დაზიანდა, რაც საფრთხეს ჰქმნიდა მანქანების მოძრაობისათვის.

გადაწყდა კაპიტალური ხიდის აგება. ამჟამად მიმდინარეობს ჯებირების ამოშენება.

ხიდის მშენებლობაზე, მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის გარდა, დაიხარჯება 250.000 მანეთი.

სარწყავი არხის მშენებლობა

სოფელ ახალშენის ბერიას სახელობის კოლმეურნეობას ძირითადად სარწყავი მიწები აქვს. იმის გამო, რომ შარშან სარწყავი სისტემა ცუდად მუშაობდა, მოსავალიც შედარებით დაბალი მოვიდა. ამჟამად დიდი მუშაობა მიმდინარეობს სარწყავი სისტემის მოსაწყობად. გაჰყავთ 3,5 კილომეტრი სიგრძის არხი.

არხის წყლით მთლიანად მოირწყვება სოფლის ბაღ-ბოსტნები და რამდენიმე ათეული ჰექტარი თავთავიანი კულტურების ნათესი.

კ. გამსახურდიას შემოქმედების საღამო

21 მაისს, საღამოს 8 საათზე საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის კლუბში (მარის ქ. № 15) შესდგება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, მწერალ კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების საღამო.

მოხსენებას თემაზე: „კ. გამსახურდიას შემოქმედება" გააკეთებს დიმიტრი ბენაშვილი. შემდეგ გამოვა კ. გამსახურდია.

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობაზე

„ცდკა" (მოსკოვი) — „დინამო" (ლენინგრადი)

18 მაისს მოსკოვში ჩატარდა მორიგი კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის წითელი არმიის ცენტრალური სახლისა და ლენინგრადის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები. არმიელმა ფეხბურთელებმა ეს შეხვედრა დიდი სიძლიერით ჩაატარეს. მათ ორივე ტაიმში მოწინააღმდეგის კარში გაიტანეს 8 ბურთი, თავიანთ კარში კი მიიღეს მხოლოდ ერთი. ამრიგად, მატჩი დამთავრდა „ცდკა"-ს გუნდის ბრწყინვალე გამარჯვებით, ანგარიშით — 8 : 1. თამაშს ესწრებოდა 75 ათასი მაყურებელი.

„დინამო" (კიევი) — „კრილია სოვეტოვ" (კუიბიშევი)

18 მაისს კიევში ჩატარებული მატჩი ადგილობრივ „დინამოსა" და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის" ფეხბურთელთა შორის დამთავრდა ფრედ — 1 : 1.

„ზენიტი" (ლენინგრადი) — „ტორპედო" (მოსკოვი)

18 მაისს ლენინგრადში თამაშობდნენ მოსკოვის „ტორპედოსა" და ადგილობრივ „ზენიტის" ფეხბურთელთა გუნდები. მატჩი დამთავრდა ფრედ — 0 : 0.

„სპარტაკი" (მოსკოვი) — „დინამო" (მოსკოვი)

19 მაისს მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონ მოსკოვის „დინამოსა" და მოსკოვის „სპარტაკის" გუნდები. პირველ ტაიმში „დინამოელმა" კარცევმა მე-13 და მე-18 წუთზე ზედიზედ ორი ბურთი გაიტანა „სპარტაკის" კარში. მეორე ტაიმში „სპარტაკის" კარის ბადეში კიდევ ორი ბურთი გაეხვია. „სპარტაკელებმა" თამაშის დამთავრებამდე მხოლოდ ორი წუთით ადრე შესძლეს ერთადერთი ბურთის გატანა „დინამოს" კარში. მატჩი მოიგო მოსკოვის „დინამომ", ანგარიშით — 4 : 1.

მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში

13 მაისის საღამოს სხდომა

ნიურნბერგი, 13 მაისი. (საქტასი). ტრიბუნალის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა გერმანიის ყოფილი სამხედრო-საზღვაო ფლოტის ადმირალის, ბრალდებულ დენიცის უახლოესი თანამშრომლის—მოწმე ვაგნერის დაკითხვა. უპასუხებს რა დაცვისა და ბრალდების კითხვებზე, ვაგნერი კვლავ ცდილობს დაიცვას დენიცი.

ბრალდების ინგლისელი წარმომადგენელი ამხილებს მოწმის ყბედობას იმის შესახებ, თითქოს გერმანიის სამხედრო-საზღვაო ძალები უმწიკვლოდ იქცეოდნენ ნეიტრალური ნაოსნობის მიმართ. ბრალმდებელი გერმანული ოფიციალური დოკუმენტებიდან ამოღებული ფაქტებით ადასტურებს, რომ გერმანიის სამხედრო-საზღვაო სარდლობა მეკობრული მეთოდებით მოქმედებდა.

მოწმის დაკითხვის განგრძობა გადატანილია 14 მაისისათვის.

14 მაისის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 14 მაისი. (საქტასი). ტრიბუნალის 14 მაისის დილის სხდომაზე ბრალდების ინგლისელი წარმომადგენელი პოლკოვნიკი ფილიმორი განაგრძობდა მოწმე ვაგნერის დაკითხვას. ბრალმდებელმა გამოარკვია, რომ, აქეზებდა რა გერმანიის წყალქვეშა ნავების მეკობრულ მოქმედებას ნეიტრალური ქვეყნების გემების წინააღმდეგ, დენიცი ამასთანავე ერთი წყალქვეშა ნავის მეთაურს დაემუქრა—სამხედრო-საველე სასამართლოს გადაგცემ ესპანეთის კუთვნილი ხომალდის ჩაძირვისთვისო. ამის შესახებ ვაგნერი აცხადებს, რომ 1942 წელს გერმანიისა და ესპანეთის მეგობრობა ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება იყო, და დენიცი ამიტომ გამოეხმაურა ასე მკვეთრად ესპანეთის ხომალდის ჩაძირვასო.

შემდეგ ბრალმდებელი გადადის „კომანდოსის" ჯგუფების წევრთა მოსპობის შესახებ ჰიტლერის ბრძანების სამხედრო-საზღვაო ფლოტის მიერ განხორციელების საკითხის განხილვაზე.

ამთავრებს რა თავის დაკითხვას, ბრალმდებელი ფილიმორი აცხადებს:

— მე ვამტკიცებ, რომ სამხედრო ტყვეების დახვრეტა სრულიად გაუმართლებლად, ტორპედირება ნეიტრალური სახელმწიფოების ხომალდებისა და სავაჭრო გემებისა, დახოცვა ადამიანებისა, რომლებიც ზღვაში იღუპებოდნენ—იყო თქვენი პოლიტიკა და ომის წარმოების ტაქტიკა.

მოწმე სდუმს.

დილის სხდომის დასასრულ მოწმე ვაგნერს რამდენიმე დამატებითი კითხვა მისცეს დამცველებმა.

14 მაისის საღამოს სხდომა

ნიურნბერგი, 14 მაისი. (საქტასი). ტრიბუნალის 14 მაისის საღამოს სხდომის დასაწყისში ბრალდებულ დენიცის დამცველის გამოწვევით დარბაზში დასაკითხავად შემოიყვანეს ახალი მოწმე—გერმანიის ყოფილი სამხედრო-საზღვაო ფლოტის ადმირალი გოდტი. 1938 წლის იანვრიდან იგი იყო დენიცის ერთ-ერთი უახლოესი თანამშრომელი, წყალქვეშა ფლოტის სარდალთან ოპერატიული განყოფილების უფროსი.

უპასუხებს რა კრანც-ბიულერის კითხვებზე, გოდტი უჩვენებს, რომ 1939 წელს გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდლობა მუშაობდა ნორვეგიის საზღვაო ბაზების გულმოდგინე შესწავლაზე. უფრო ადრე ფლოტის სარდლობა ემზადებოდა თავისი ბაზების შესაქმნელად ისლანდიაში.

კრანც-ბიულერი გადადის საკითხზე გერმანიის წყალქვეშა ნავების სახომალდო დოკუმენტებში ყალბი ჩანაწერების გაკეთების შესახებ იმ შემთხვევებში, როცა ეს ნავები არღვევდნენ საზღვაო ომის წარმოების საერთაშორისო წესებს.

— მე მაგონდება შემთხვევა, როცა გაცემული იყო ბრძანებები წყალქვეშა ნავის საბრძოლო მოქმედების დღიურიდან ამოეშალათ ჩანაწერები, — უჩვენებს ამ საკითხზე გოდტი, — პირველი შემთხვევა ეხება „ატენიის" ჩაძირვას.

მოწმე იძლევა ჩვენებას ბრალდებულ დენიცის ბრძანების შესახებ, რომ მოესპოთ ადამიანები, რომლებიც თავს შველოდნენ გერმანიის წყალქვეშა ნავების მიერ მოკავშირეთა გემების ჩაძირვისას, და ყოველნაირად ცდილობს შეარბილოს დენიცის ამ ბრძანების შინაარსი.

მოწმე ადასტურებს აგრეთვე, რომ არსებობდა გერმანიის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლის ბრძანება, რომლითაც ბლოკადის ზონაში გერმანელებს ნება ჰქონდათ დართული ჩაეძირათ ყველა ნეიტრალური გემი და იმ გემების მიმართ, რომელთა ნაციონალურ კუთვნილებას ვერ გამოარკვევდნენ, წყალქვეშა ნავების მეთაურებს ენიჭებოდათ მოქმედების სრული თავისუფლება.

მოწმე გოდტის ჩვენებებიდან ცხადია, რომ დენიცი როდი იყო ისეთი განდეგილი, როგორადაც მას თავი მოაქვს. მოწმეს არა ერთხელ მოუსმენია დენიცი, რომელიც გამოდიოდა პოლიტიკური სიტყვებით. შტეტინში ჰიტლერული ახალგაზრდობის წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში დენიცი თავის მსმენელებს მოუწოდებდა ჰიტლერული სახელმწიფოს განმტკიცებისა და გაფართოებისაკენ.

დაცვის მეორე მოწმე კაპიტანი ჰესლერი დენიცის სიძე, მისი უახლოესი თანამშრომელი იყო. ჰესლერი იძულებულია აღიაროს, რომ მან ჩასძირა 21 გემი, რომელთა ეკიპაჟის ბედის შესახებ იგი ახლა ერთ სიტყვასაც ვერ იტყვის.

ეს ავაზაკი, რომელსაც 1941 წელს გერმანიის წყალქვეშა ძალების შტაბის უფროსობა მისცეს, აღიარებს, რომ წყალქვეშა ნავების მეთაურებს პირადად მან მისცა ბრძანება, რომლითაც აკრძალული იყო ყოველგვარი მაშველი ზომების მიღება.

მოწმე ჰესლერის დაკითხვით დამთავრდა საბუთების წარდგენა ბრალდებულ დენიცის საქმის გამო.

15 მაისის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 15 მაისი. (საქტასი). დღეს ტრიბუნალის დილის სხდომაზე ჩვენებას იძლეოდა რაიხსბანკის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ემილ რუდოლფ პული. იგი გამოწვეულია დაცვის მიერ ფუნკის საქმეზე დამატებითი ჩვენების მისაცემად. ფუნკის დამცველმა ადვოკატმა ზაუტერმა მიზნად დაისახა ამ მოწმის ჩვენებით თუნდაც რამდენიმე სახელი გაუტეხოს ბრალდების მიერ წარმოდგენილ ფილმს რაიხსბანკის საწყობების შესახებ. როგორც ცნობილია, ამ ფილმში ნაჩვენებია რაიხსბანკის საწყობები, რომლებიც სავსეა აღმოსავლეთ ოლქებში სს-ელთა მიერ ნაძარცვი და საკონცენტრაციო ბანაკების პატიმრებისათვის ჩამორთმეული ძვირფასეულობითა და ნივთებით. დამცველი ზაუტერი მისახვედრი კითხვებით და მოწმისათვის პასუხების კარნახით ყოველნაირად ცდილობს გაამართლოს ფუნკი. მოწმე მიხვდა, თუ რას მოითხოვენ მისგან, ყოველნაირად ცდილობს დაეხმაროს დამცველს თავის ჩვენებაში და ამით დახმარება გაუწიოს თავის ყოფილ პატრონს — ბრალდებულ ფუნკს.

მოწმე თავის პასუხებში დამცველის კითხვებზე სრულიად უარჰყოფს, რომ მან ნახა რაიმე ნივთი, რომლებიც სს-ელებმა რაიხსბანკს გადასცეს.

მაშინ თავმჯდომარე აწყვეტინებს დაკითხვას და დამცველ ზაუტერს მიუთითებს, რომ მოწმის წერილობით ჩვენებაში პირდაპირ არის ნათქვამი: „სს-ის მიერ წარმოდგენილ ამ ნივთებში შედიოდა სს-ის საკონცენტრაციო ბანაკებში ებრაელებისათვის წართმეული ყველა ნივთი. ეს ჩვენთვის ცნობილი გახდა, როდესაც სს-ის პერსონალი ცდილობდა მთელი ეს ნივთები მოეთავსებინა რაიხსბანკში".

შემდგომი ჩვენების მიცემის დროს მოწმეს წამოსცდება, რომ სს-ის ორგანიზაციამ სთხოვა რაიხსბანკს „მთელი ეს საქმე რაც შეიძლება საიდუმლოდ შეენახოს".

დამცველ ზაუტერის შემდეგ მოწმის დაკითხვას შეუდგა ბრალდების ამერიკელი წარმომადგენელი დოდი.

ბრალმდებელი დოდი ეხება სს-სთან რაიხსბანკის ოპერაციების განსაკუთრებულ საიდუმლოებას და ეკითხება:

— რა მიზეზები იყო განსაკუთრებული საიდუმლოებისათვის იმ ნივთების მიმართ, რომლებიც რაიხსბანკის მიერ მიღებული იყო სს-ისგან?

მოწმე: მე ამის შესახებ არაფერი არ ვიცი.

შემდეგ ბრალმდებელი არკვევს, რომ რაიხსბანკის მთელი ეს „ოპერაციები" იმდენად საიდუმლო იყო, რომ ბანკისათვის ნივთების ჩამბარებელი სს-ელები საწყობებში სამოქალაქო ტანსაცმლით გამოწყობილნი მიდიოდნენ.

ბრალმდებელმა გამოააშკარავა სს-სთან რაიხსბანკის „ოპერაციების" ნამდვილი ხასიათი და გამოარკვია, რომ გერინგსაც ჰქონდა პირდაპირი დამოკიდებულება რაიხსბანკისა და სს-ელების ამ შავბნელ საქმეებთან. დოდი აქვეყნებს 1944 წლის 31 აგვისტოს ერთ-ერთ დოკუმენტს „ძვირფასეულობათა გამოყენების" შესახებ. დოკუმენტში ნათქვამია: „ვიცე-პრეზიდენტ პულსა და ბერლინის ერთ-ერთი დაწესებულების უფროსს შორის დადებული სიტყვიერი საიდუმლო შეთანხმების შესაბამისად, რაიხსბანკმა იკისრა უცხოეთის ვალუტის, ოქროს, ვერცხლის ფულის, ძვირფასი ლითონების, ბრილიანტების, საათებისა და სხვა ძვირფასი ნივთების გაყიდვა. ყოველივე ეს მოხდება „მელმერის" მარკით.

დოდმა გამოაქვეყნა ეს დოკუმენტი და მოწმეს ეკითხება:

— გვითხარით, რას ნიშნავს სიტყვები „ბერლინის ერთ-ერთი დაწესებულების უფროსი", რომელმაც ასეთი საიდუმლო შეთანხმება დადო? ვინ იყო ეს?

მოწმე: ეს იყო ბატონი პოლი სს-იდან.

მოწმე პული უპასუხებს ამერიკელი მოსამართლის ბიდლის კითხვებზე და აღიარებს, რომ ფუნკს საუბარი ჰქონდა პირადად ჰიმლერთან იმ ძვირფასი ნივთების შენახვის შესახებ, რომლებსაც რაიხსბანკს გადასცემდნენ სს-ის საწყობებიდან, და რომ იგი, პული, მოახსენებდა ხოლმე ბანკის დირექტორატს იმ ნივთების შენახვის საჭიროებაზე, რომლებსაც სს-ის საწყობებიდან იღებდნენ. მოწმის სიტყვით, რაიხსბანკის დირექტორატმა მოიწონა ეს ღონისძიება და ნება დართო რაიხსბანკში შეენახათ აღმოსავლეთიდან, ე. ი. ოკუპირებული პოლონეთიდან და ზოგიერთი საბჭოთა ოლქიდან მიღებული ძვირფასეულობანი.

— გვითხარით, — ეკითხება მოსამართლე ბიდლი, — თქვენ იცოდით, თუ რა ხასიათისა იყო ეს კონფისკებული საკუთრება?

მოწმე: დიახ, რა თქმა უნდა.

მოწმე პულის დაკითხვის შემდეგ დილის სხდომის ბოლოს ტრიბუნალი შეუდგა ბრალდებულ ერიხ რედერის საქმის მოსმენას.

რუმინული პრესა ანტონესკუს პროცესზე „ისტორიული" პარტიების ლიდერთა პოზიციის შესახებ

ბუქარესტი, 19 მაისი. (საქტასი). მთელი რუმინული დემოკრატიული პრესა კვლავ უკეთებს კომენტარს ანტონესკუს დანაშაულებრივ ხროვასთან ეგრეთწოდებული „ისტორიული" პარტიების მჭიდრო თანამშრომლობის ახალ დაწვრილებით ცნობებს, რაც გამომჟღავნდა ანტონესკუსა და მისი თანამონაწილეების პროცესზე, და ამ პარტიის ლიდერების მიერ პროცესზე დაკავებულ პოზიციას.

„მანიუს ჩვენება, — სწერს გაზეთი „სკინტეია", — უდრის მისი საკუთარი პარტიის მძიმე, პოლიტიკურ და მორალურ დამარცხებას".

„ეს პარტია, — აღნიშნავს გაზეთი „რომინია ლიბერა", — აღმოჩნდა იმ ბოროტმოქმედის მდგომარეობაში, რომელსაც დანაშაულზე წაუსწრეს და რომელმაც არ იცის — უარჰყოს თუ აღიაროს თავისი დანაშაულობანი. მანიუს მიერ დამნაშავეებისათვის გაწოდებული ხელი სხვა არა იყო რა, თუ არ მოწოდება, მიმართული თავისუფლად დარჩენილი ყველა ფაშისტი ნაბოლარისადმი, ანტონესკუს თანამონაწილეებისადმი — დაირაზმონ მის გარშემო და მისი ხელმძღვანელობით".

ოპოზიციის პრესა იმისათვის, რომ შეამციროს ეფექტი, რაც რუმინეთში და საზღვარგარეთ მანიუსა და ბრატიანუს ჩვენებებმა მოახდინეს, ყოველნაირად ცდილობს გაამართლოს ოპოზიციის ლიდერები.

„დრეპტატეამ" 15 მაისის ნომერში გამოაქვეყნა მანიუს წერილი სახალხო ტრიბუნალისადმი, რომლითაც იგი ცდილობს უარჰყოს თავისი საკუთარი ჩვენებანი პროცესზე. მანიუ ამტკიცებს, რომ იგი და მისი პარტია თითქოს „ესწრაფვოდნენ, რათა მალე მოღებოდა ბოლო ანტონესკუს რეჟიმს და დროებითი ზავი დადებულიყო გაერთიანებულ ერებთან". თავის ჩვენებაში მანიუ ამტკიცებდა, რომ 23 აგვისტომდე მას და ბრატიანუს აზრადაც კი არა ჰქონიათ ანტონესკუს გადაყენება.

დაიდო შეთანხმება უნგრეთსა და იუგოსლავიას შორის რეპარაციების შესახებ

ბუდაპეშტი, 18 მაისი. (საქტასი). როგორც გაზეთი „საბად ნეპი" იუწყება, უნგრეთსა და იუგოსლავიას შორის დაიდო შეთანხმება რეპარაციების შესახებ. როგორც ცნობილია, რეპარაციის იმ 300 მილიონი დოლარიდან, რაც უნგრეთმა უნდა გადაიხადოს დროებითი ზავის შესახებ დადებული შეთანხმებით, 70 მილიონი დოლარი მან უნდა მისცეს იუგოსლავიას.

ამ რეპარაციების ანგარიშში უნგრეთმა იუგოსლავიას უნდა მისცეს პირველ რიგში სარკინიგზო მოწყობილობა, გემები და ნავლონი. გარდა ამისა, უნგრეთმა იუგოსლავიაში უნდა ააგოს მთელი რიგი საწარმოები და თავის ფაბრიკებში მოამზადოს იუგოსლაველ ფეიქართა ჯგუფი.

იუგოსლავიის ფედერატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ამჟამად, რეპარაციებზე შეთანხმების დადების შემდეგ, არის შესაძლებლობა დაიდოს აგრეთვე იუგოსლავია-უნგრეთის ეკონომიური ხელშეკრულება, რომლის ძალითაც უნგრეთი მიიღებს რკინის მადანს, სულფატს, სპილენძსა და საცხიმე ღორებს. გაზეთი აღნიშნავს მოლაპარაკების მეგობრულ ატმოსფეროს, ხელსაყრელ ვადებსა და პირობებს, რომლებსაც დასთანხმდა იუგოსლავიის მთავრობა, რადგან ითვალისწინებდა უნგრეთის მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას.

იუგოსლაველი ხალხი მოითხოვს იუგოსლავიასთან იულიის კრაინის შეერთებას

ბელგრადი, 18 მაისი. (საქტასი). მთელ იუგოსლავიაში გრძელდება საპროტესტო მიტინგები იტალია-იუგოსლავიის საზღვრის საკითხზე. ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ექსპერტების წინადადებათა წინააღმდეგ.

15 მაისს საღამოს შესდგა ბელგრადის უნივერსიტეტის პროფესორთა და სტუდენტთა მიტინგი. სიტყვები წარმოსთქვეს უნივერსიტეტის პრორექტორმა დოქტორმა დუშან ნედელკოვიჩმა, სერბიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ალექსანდრე ბელიჩმა და სტუდენტი ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა.

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოსათვის გაგზავნილ რეზოლუციაში მიტინგის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ სამი დასავლეთი სახელმწიფოს ექსპერტთა წინადადებებს ისინი სთვლიან „უდიდეს უსამართლობად და ცდად —დაამცირონ იუგოსლავიის გმირი ხალხები, რომლებიც თავდადებით იბრძოდნენ მოკავშირეთა მხარეზე, ფაშიზმის წინააღმდეგ".

საკითხს იულიის კრაინისა და ტრიესტის შესახებ კვლავ ცენტრალური ადგილი უკავია იუგოსლავიის პრესაში.

გაზეთმა „ბორბამ" გამოაქვეყნა ყოფილ რეგენტ მანდიჩის მოწინავე სტატია სათაურით „არავის არ შეუძლია თავს მოახვიოს ახალ იუგოსლავიას ის, რაც ეწინააღმდეგება ჩვენი ხალხების ინტერესებს". სტატიაში ნათქვამია: „იუგოსლავიის ხალხებმა იციან, თუ რა სურთ მათ. ჩვენ გვახსოვს წარსული და გაკვეთილები გამოგვაქვს იქიდან... ახალ იუგოსლავიას არა სურს და არც შეუძლია დასთმოს თავისი სამართლიანი მოთხოვნები".

პოლონეთში აღმოაჩინეს დივერსიული ორგანიზაცია

ვარშავა, 17 მაისი. (საქტასი). პაპის სააგენტო იუწყება: სანდომირის მაზრაში მოქმედებდა დივერსიული ორგანიზაცია, რომელიც „სტრონნიცტვო ნაროდოვეს" სახელით გამოდიოდა. ეს ორგანიზაცია ლონდონში მცხოვრებ ემიგრანტ პოლონელთა დახმარებით შოულობდა იარაღსა და საომარ მასალას. ეს იარაღი, მიღებულ მითითებათა თანახმად, უნდა გამოეყენებინათ მთავრობის დაწესებულებებსა და დემოკრატიულ მოღვაწეებზე თავდასასხმელად. უშიშროების ორგანოებმა მიაგნეს ამ ორგანიზაციის კვალს და მოკლე ხანში დააპატიმრეს 27 დივერსანტი, რომელთაც აღმოაჩნდათ მთელი რიგი მამხილებელი დოკუმენტები. ჩხრეკის დროს აღმოჩენილ იქნა სტამბა და არალეგალური ლიტერატურა, იარაღის დიდი მარაგი, აგრეთვე ორი რადიოსადგური და როტატორი.

იაპონიის ახალი კაბინეტის შედგენა

ტოკიო, 19 მაისი. (საქტასი). ტოკიოს რადიოს ცნობით, შედგენილია იაპონიის მინისტრთა ახალი კაბინეტი სიგერუ იოსიდას მეთაურობით.

იაპონიის ახალი კაბინეტის შედგენის გამო

ტოკიო, 19 მაისი. (საქტასი). გაზეთ „ასახის" ცნობით, ხუთმა კომუნისტმა—იაპონიის პარლამენტის წევრმა გადასწყვიტა მოითხოვოს ინტერვიუ იმპერატორთან. ისინი აღნიშნავენ ამ შეხვედრის საჭიროებას იმასთან დაკავშირებით, რომ იმპერატორმა იოსიდას უბრძანა შეადგინოს ახალი კაბინეტი, მაშინ როცა იოსიდა რეაქციონერია.

ერთ-ერთმა კომუნისტმა ამ ხუთთაგან სიგამ გააკეთა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია: „იოსიდას მიენდო ახალი კაბინეტის შედგენა. მიუხედავად დემოკრატიული ნიღაბისა, მისი კაბინეტი იქნება სიდეხარას რეაქციული კაბინეტის განგრძობა. სიდეხარამ თავისი კაბინეტის გადადგომის შემდეგ ხელი შეუშალა დემოკრატიული მთავრობის შექმნას, ხმაური ასტეხა ეგრეთწოდებულ პასუხისმგებლობაზე ახალი კაბინეტისათვის რეკომენდაციის შესახებ, რისი რწმუნებაც მას არა ჰქონდა. ეს იმას ნიშნავს, რომ სიდეხარამ, რომელიც კონსერვატიულ-რეაქციულ ძალებს წარმოადგენს, ჩაახშო ხალხის ნამდვილი ნება. იმპერატორმა თვითონ დაუშვა, რომ სიდეხარა და მისი თანამემწეები განაგრძობდნენ თავიანთი მანევრების განხორციელებას საკუთარი შეხედულებით. სიდეხარამ უბრძანა იოსიდას ახალი კაბინეტი შეადგინოს. ეს იმის დამამტკიცებელი ფაქტია, რომ იმპერატორი არავითარ პასუხისმგებლობას არა გრძნობს დამშეული ხალხის ტანჯვისათვის. იაპონელ ხალხს შეგნებული აქვს, რომ მხოლოდ „დემოკრატიულ მთავრობას შეუძლია მისი გადარჩენა, და იგი ორგანიზებულ მასობრივ ღონისძიებათა გზით მოითხოვს ასეთი მთავრობის ჩამოყალიბებას. კომუნისტური პარტია იბრძოლებს ხალხის ამ მოთხოვნისათვის. იგი ხალხის დემოკრატიულ ორგანიზაციებთან ერთად ყოველ ღონეს იხმარს დემოკრატიული მთავრობის შესაქმნელად."

მიძუტანის განცხადება

ტოკიო, 18 მაისი. (საქტასი). როგორც კიოდო ცუსინის სააგენტო იუწყება, სოციალისტური პარტიის წარმომადგენელმა მიძუტანმა 16 მაისს განაცხადა, რომ იოსიდას კაბინეტი სხვა არა იქნება რა, თუ არ სიდეხარას კონსერვატიული კაბინეტის განგრძობა. ის ფაქტი, — განაცხადა მიძუტანმა, — რომ იოსიდას მთავრობა სიდეხარას ადმინისტრაციის განგრძობა იქნება, იმით მტკიცდება, რომ სიდეხარას კაბინეტში თავმოყრილი კონსერვატიული ძალები ცდილობენ შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიონ დემოკრატიულ ძალებს. ლიბერალურმა და პროგრესულმა პარტიებმა, — განაგრძო მიძუტანმა, — თვით აღიარეს, რომ მათ არ შეუძლიათ გადალახონ არსებული ეროვნული კრიზისი, თუ სოციალისტური პოლიტიკა არ მიიღეს. რეაქციული და კონსერვატიული მთავრობა ვერ შესძლებს ეროვნული კრიზისის გადალახვას. იოსიდას მთავრობა ვერ შესძლებს გადასჭრას სასურსათო პრობლემა, ინფლაციის პრობლემა და სხვა გადაუდებელი პრობლემები, რომლებიც ხალხის ცხოვრების სტაბილიზაციას ეხებიან, თუმცა იგი შესძლებს დაამტკიცოს კონსტიტუციის პროექტი. იოსიდას კაბინეტს შეუძლია განახორციელოს მხოლოდ წინანდელი კაბინეტის პოლიტიკა.

მიძუტანმა იწინასწარმეტყველა, იოსიდას კაბინეტი ხანგრძლივი არ იქნებაო და განაცხადა, რომ რამდენადაც სოციალისტურ პარტიას გზა აღებული აქვს მშრომელთა მასებზე, მას არ შეუძლია ითანამშრომლოს ახალ კაბინეტთან, რომელიც სიდეხარას კაბინეტის განმეორებას წარმოადგენს.

უნგრეთს გადაეცა ორი გერმანელი სამხედრო დამნაშავე

ბუდაპეშტი, 19 მაისი. (საქტასი). გაზეთი „საბად ნეპი" იუწყება, რომ მოკავშირეთა საკონტროლო კომისიამ უნგრეთის იუსტიციის მინისტრ რისს აცნობა, რომ გერმანელ სამხედრო დამნაშავეებს — გერმანიის ყოფილ დესპანს უნგრეთში ვეზენმაიერს და ბუდაპეშტის ყოფილ კომენდანტს ვინკელმანს უნგრეთის იუსტიციას გადასცემენ.

ესპანელი ანტიფაშისტებისათვის გამოტანილი განაჩენი

ნიუ-იორკი, 18 მაისი. (საქტასი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ფრანკისტულმა სასამართლომ ესპანელ ანტიფაშისტებს — საპორთისა და ალვარესს გამოუტანა განაჩენი. საპორთას მიუსაჯეს 20 წლის, ალვარესს კი 18 წლის პატიმრობა.

იტალიელ მონარქისტთა პროვოკაციული მანევრები

რომი, 19 მაისი. (საქტასი). დღეს პრესა აქვეყნებს ახალ ცნობებს „რომზე გალაშქრების" მზადების შესახებ, რაც 24 მაისისთვის არის დანიშნული მონარქისტულ-ფაშისტური ელემენტების მიერ. მონარქისტებსა და არალეგალურ ნეოფაშისტურ ჯგუფებს შორის შეთანხმების შესაბამისად „რომზე გალაშქრებას" წინ უნდა უძღოდეს მონარქისტთა დიდი შეკრება ნეაპოლში კვირას, 19 მაისს.

მონარქისტ შეთქმულთა განკარგულებაშია ტრანსპორტი აველინის, სალერნის, ბენევენტოსა და რეჯიო კალაბრიის პროვინციებიდან „შეკრების" მონაწილეთა ნეაპოლს გადასაყვანად. ამჟამად ნეაპოლი წარმოადგენს მონარქისტთა ამ პროვოკაციული მანევრის შტაბ-ბინას, რაც ნავარაუდევია 2 ივნისს დანიშნული საყოველთაო არჩევნებისათვის საბოტაჟის გასაწევად.

შინაგან საქმეთა მინისტრმა რომიტამ განკარგულება მისცა პრეფექტებს აკრძალონ ერთი ქალაქიდან მეორეში ხალხის მასობრივი გადაყვანა საარჩევნო კამპანიის მთელი პერიოდის განმავლობაში.

რომი, 18 მაისი. (საქტასი). პოლიციამ ნეაპოლში დააპატიმრა 25 კომუნისტი, როგორც 15 მაისს „მონარქისტულ დემონსტრაციაზე თავდასხმის დამნაშავენი", როდესაც მონარქისტები ცდილობდნენ გაენადგურებინათ კომუნისტური პარტიის სექციის შენობა.

გაზეთი „უნიტა" კატეგორიულად აცხადებს, რომ გრანატის აფეთქებაში დამნაშავენი არიან თვით მონარქისტი დამრბევნი.

მონარქისტული პროვოკაციები ნეაპოლში გრძელდებოდა აგრეთვე 16 მაისიდან. სააგიტაციო სატვირთო მანქანებზე დადგმული რადიორუპორებით მონარქისტები მოუწოდებდნენ კომუნისტური სექციების განადგურებისაკენ. მოსახლეობის აღშფოთებამ მონარქისტთა ხრიკების გამო უმაღლეს წერტილს მიაღწია.

იტალიის კომუნისტური პარტიის სამდივნოს მიმართვა

რომი, 19 მაისი. (საქტასი). გაზეთი „უნიტა" აქვეყნებს იტალიის კომუნისტური პარტიის სამდივნოს შემდეგ მიმართვას:

„სამდივნო მოუწოდებს კომუნისტური პარტიის ყველა ორგანიზაციას სრული სიმშვიდე დაიცვან იმ ხმებთან დაკავშირებით, რომელთა თანახმადაც მონარქისტულ და ფაშისტურ ჯგუფებს განზრახული აქვთ 20-დან 25 მაისამდე მოაწყონ პუტჩები და პროვოკაციები, მიმართულნი წესრიგის დარღვევისა და არჩევნების ჩაშლისაკენ. ამ ხმების გავრცელება გამოწვეულია სურვილით დაუკარგონ დემოკრატიულ პარტიებსა და მათს მოღვაწეებს სიდინჯე და პროვოკაცია გაუწიონ მათ მოუფიქრებელი მოქმედების ჩასადენად. ამავე დროს საჭიროა სიფხიზლის გაძლიერება და თვალყურის დევნება უკვე გამოაშკარავებული ნეოფაშისტური ცენტრებისადმი.

კომუნისტური პარტია, რომელიც კვლავ მოუწოდებს მთავრობას მიიღოს კონკრეტული ღონისძიებანი ფაშისტური პროვოკაციის ყოველგვარი საფრთხის წინააღმდეგ, ყველა თავის ორგანიზაციასა და წევრს მოაგონებს, რომ პარტიის მიზანს, სხვა ანტიფაშისტურ ძალებთან ერთად, წარმოადგენს დემოკრატიული კანონიერების დაცვა, მონარქისტი და ფაშისტი პროვოკატორების იზოლაცია და გაუვნებლება და 2 ივნისს არჩევნებისა და რეფერენდუმის ჩატარების უზრუნველყოფა.

ამ მიზნით კომუნისტებმა უნდა მიაღწიონ შეთანხმებას ხალხის განთავისუფლების კომიტეტის ყველა პარტიასთან, რათა დარაზმულმა დემოკრატიულმა ფრონტმა დახმარება გაუწიოს დემოკრატიული სახელმწიფოს ხელისუფლებას პროვოკაციის ცდების წინააღმდეგ ბრძოლაში.

გარდა ამისა, კომპარტიის ორგანიზაციებს რჩევა ეძლევათ სოციალისტურ პარტიასა და ხალხის განთავისუფლების კომიტეტის სხვა პარტიებთან ერთად და ხელისუფალთა თანხმობით შექმნან საკუთარი „წესრიგის სამსახური", რომელიც უზრუნველჰყოფს საზოგადოებრივი სიმშვიდის უფრო ეფექტიან დაცვას და პროვოკაციებისადმი წინააღმდეგობას.

უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის პაროდის განცხადება

ნიუ-იორკი, 18 მაისი. (საქტასი). როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" იუწყება, უშიშროების საბჭოს ახალმა თავმჯდომარემ საფრანგეთის დელეგატმა პაროდიმ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ, მისი აზრით, არ არსებობს საფრანგეთში ესპანეთის შემოჭრის უშუალო საფრთხე. მაგრამ მძლავრ სამხედრო ორგანიზაციას პირენეებში შეუძლია შექმნას საფრთხე ყოველთვის მომავალში. პაროდიმ განაცხადა, რომ ფრანკოს მიმართვა ესპანელებისადმი მოგვაგონებს ფრანგების ტანჯვას გერმანიის ოკუპაციის დროს.

ბერძენმა ფაშისტებმა მოკლეს პროფკავშირული ლიდერი

ათენი, 17 მაისი. (საქტასი). მორიგი მასობრივი ჩხრეკის დროს, რაც პოლიციამ და ხიტოსებმა — ფაშისტურ-მონარქისტულმა ორგანიზაციის „ხ" წევრებმა მოაწყეს ათენის გარეუბან პოლიგონონში, ხიტოსებმა ტყვიით მოჰკლეს ცერვასი — ერთ-ერთი პროფკავშირის ადგილკომის წევრი იმისათვის, რომ ჯიბეში მას აღმოაჩნდა გაზეთ „რიზოსპასტისის" ნომერი.

ათენი, 18 მაისი. (საქტასი). მანგანასის მონარქისტული ბანდა 150 კაცის რაოდენობით ქალაქ პილოსში (პელოპონესი) შეიჭრა და წაიყვანა საპოლიციო უბანში მყოფი პატიმრები. ოფიციალური ცნობებით, სამი მათგანი მოკლულია. აღშფოთებული მოსახლეობა ცდილობდა წინააღმდეგობა გაეწია ბანდიტებისათვის. შეტაკების დაწვრილებითი ცნობები არ იციან.

ცნობილია, რომ მაისის დამდეგს მანგანასი ათენს იყო და „კერძო პირებისაგან" მიიღო იარაღი, საომარი მასალა და ფული.

ჰოლანდიაში მომხდარი არჩევნების შედეგები

ლონდონი, 18 მაისი. (საქტასი). ლონდონის რადიო გადმოგვცემს, რომ დღეს დილით გამოქვეყნდა ჰოლანდიაში მომხდარი არჩევნების შედეგები. კათოლიკურმა პარტიამ მიიღო 1,460,000 ხმა, შრომის პარტიამ—1,340,000, ანტირევოლუციურმა პარტიამ—614,000, კომუნისტებმა—500,000, ქრისტიანულ-ისტორიულმა პარტიამ—370,000, თავისუფლების პარტიამ — 305,000 და რეფორმისტულმა პარტიამ — 100,000 ხმა.

მდგომარეობა ჩინეთში

შანხაი, 15 მაისი. (საქტასი). ჩინური პრესის ცნობების თანახმად, სიპინგაი (ჩანჩუნის სამხრეთ-დასავლეთით) კვლავ გაერთიანებული დემოკრატიული არმიის ხელშია. მთელ ფრონტზე სიწყნარეა. გომინდანის ჯარებს ძლიერი მაშველი ძალები მოსდით.

მდინარე იანძის გასწვრივ და ძიანსუს და ანხუეის პროვინციებში გომინდანის ჯარები თავს იყრიან ნანკინში, ძინძიანსა, იანჯოუსა, დაისინსა და ამ ქალაქების მიდამოებში და გენერალური შეტევისათვის ემზადებიან.

შანდუნის პროვინციაში გომინდანის ჯარები ყოფილი მარიონეტული მთავრობის ჯარებთან ერთად განუწყვეტელ იერიშებს ეწევიან ტიანძინ-პუკოუს და ბეიპინ-ხანკოუს რკინიგზების გასწვრივ და ცდილობენ გაიჭრან სასაზღვრო რაიონში.

შანსის პროვინციაში გენერალი იან სი-შანი და მისი ხელქვეითნი — ყოფილი მარიონეტული მთავრობის ჯარების ოფიცრები — ადგენენ ამ პროვინციაში განთავისუფლებულ რაიონებზე შეტევის გეგმებს. იაპონიის ჯარების 6,000 კაცი რეორგანიზებულია სპეციალურ ბრიგადად კომუნისტურ ჯარებზე თავდასხმისათვის.

როგორც გაზეთი „დაგუნბაო" იუწყება, მდგომარეობა ნანტუნსა და ჟულაოში კვლავ კრიზისული გახდა. ძიანსუს პროვინციელმა ხელისუფლებმა მიიღეს ცნობა იმის შესახებ, რომ კომუნისტურმა ახალმა მე-4 არმიამ 50,000 კაცის შემადგენლობით თითქოს იერიში მიიტანა ამ ქალაქების რაიონში.

გაზეთი „სინვენბაო" იუწყება, რომ 14 მაისს ჯოუ ენ-ლაიმ ხელი არ მოაწერა საველე რაზმების მომავალი მოქმედების ახალ გეგმას. ახალი გეგმა წამოყენებულია გენერალ მარშალის მიერ და ითვალისწინებს, რომ ყოველი ამ რაზმის ამერიკელ წარმომადგენლებს უშუალო უფლება აქვთ მიიღონ ღონისძიებანი, რომელთაც უნდა დაემორჩილონ მთავრობისა და კომუნისტური ჯარები, რაზმებში მთავრობისა და კომუნისტების წარმომადგენელთა მიერ ამ ღონისძიებათა დაუმტკიცებლად.

გაზეთ „შენბაოს" ბეიპინელი კორესპონდენტის ცნობით, ჩინეთის მთავრობის წარმომადგენელი ბეიპინის აღმასრულებელ შტაბში 14 მაისს უეცრად გაემგზავრა ნანკინს, როგორც სჩანს, მთავრობის წარმომადგენელთან სათათბიროდ ჩრდილო ჩინეთში შექმნილ კრიზისული მდგომარეობის შესახებ. გაზეთი ჩრდილო ჩინეთში შექმნილ მდგომარეობას შემდეგნაირად ახასიათებს: „სწარმოებს ჯარების მოძრაობა და კერძო შეტაკებანი. საკომუნიკაციო ხაზები დარღვეულია. მდგომარეობა მეტისმეტად კრიზისულია".

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში მორიგი მეცადინეობა შესდგება ოთხშაბათს, 22 მაისს, საღამოს 7 საათზე, კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტის შენობაში (ლენინის ქ. № 41).

ლექციები

22 მაისს, საღამოს 6 საათზე, ლენინის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება ამხ. **ფრიშენბერგის** ლექცია რუსულ ენაზე **„საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა".** ბილეთების შეძენა შეიძლება პარტკაბინეტში.

22 მაისს, საღამოს 8 საათზე, ავიატექნიკუმის დარბაზში (კამოს ქ. № 70) შესდგება სულეიმანის ლექცია თემაზე: **„სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა".**

ბილეთები იყიდება სტალინის რაიკომის პარტკაბინეტში (25 თებერვლის ქ. № 2).

თეატრებში

21 მაისს: სახელმწიფო ოპერა—კონცერტი. **რუსთაველის სახელობის** — „დიდი ხელმწიფე". **მარჯანიშვილის სახელობის**—„შესაფერი ჯილდო". **ახუნდოვის სახელობის** — „აშულ ყარიბი". **სანკულტურის** — „ნალექი". **თოჯინების ქართული**—„ნანა ტყეში". **რუსული**—„ბატის მეფე".

კინოებში

21 მაისს: რუსთაველის სახელობის და ოქტომბერი — „მოუსვენარი მეურნეობა". **დამკვრელი**—„ბემბი". **კომკავშირელი** (ზამთრის)—„არშინ მალ-ალან", (საზაფხულო)—„15 წლის კაპიტანი", **სპარტაკი**—„ჩაპაევი", **26 კომისრის სახელობის**—„კარო".

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 3 ივნისს, დღის 12 საათზე, სააქტო დარბაზში (მთავარი შენობა, მარის ქ. № 1) ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ზაიდ ისმაილ ოღლი ხალილოვი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **«Краевые задачи для обобщенных полигармонических уравнений».**

ოფიციალური ოპონენტები: აკადემიკოსი ვლ. **სმირნოვი,** პროფესორი დოქტორი **ი. ვეკუა,** პროფესორი **ა. ხარაძე.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ბიოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 1 ივნისს, დღის 3 საათზე, ბოტანიკის აუდიტორიაში (მესამე კორპუსი, მარის ქ. № 11) დისერტაციას დაიცავენ:

ქ. ს. სანაძე ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: **„საქართველოს შინდი და შინდანწლა".**

ოფიციალური ოპონენტები: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა დოქტორი **ვ. ზ. გულისაშვილი,** ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **ლ. მ. კემულარია-ნათაძისა.**

მ. კ. ქორიავა ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: **„მუზეუმის ხოჭოს (Anthrenus verbasci) ბიოლოგია-ეკოლოგიის თვისებურებანი და მასთან ბრძოლა" (ქიმიური მეთოდის გარდა).**

ოფიციალური ოპონენტები პროფესორი ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი **ი. დ. ბათიაშვილი,** ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **გ. კოკოჩაშვილი.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

მოქალაქე **ელენე სიმონის-ასულმა ჩოლოკაევამ,** მცხოვრებმა ივანიძის ქ. № 34, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **გრიგოლ სერგოს-ძე არუთინოვთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კიროვის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ალექსანდრე მიხეილის-ძე კამსარაკამმა,** მცხოვრებმა ძერჟინსკის ქ. № 3, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **სოფიო პეტრეს-ასულ კამსარაკამთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ბერიას რაიონის III უბნის სახალხო სასამართლო.

ნატალია, ოლია, კატო, მანია ბურდულები, ჯილდა ცხადაია, თამარ მაჩაბელი ქმარშვილით, გულნარა თუჯიშვილი იუწყებიან **ქეთო მაჩაბელი-ცხადაიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა დუშეთში.

ვენედიქტე ხაზარაძე ოჯახით იუწყება მამის **მელქისედეკ ბესარიონის-ძე ხაზარაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 23/V, სოფელ მაღლაკში.

ოჯახი იუწყება **ალექსანდრე სტეფანეს-ძე ჯამასპიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 22/V, 7 ს. გამოსვენება 23/V, 6 ს. შემოსავლის შესახვევი, 4.

მშობლები ქეთევან და პავლე ბერძენიშვილები იუწყებიან **პატარა ათულის** გარდაცვალებას. გამოსვენება 21/V, 6 ს. თეატრის შესახვევი, 7.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-20.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000. უე 00060